140
1952/3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პიონერი

7
ივლისი
1952

მოგზაურები

სადაც მთებს იქით დიდი მთებია,
სადაც გზებს იქით ბილიკებია
და ხეტიალობს ნისლი,
სადაც მოცვია კუპრივით შავი,
და ცეცხლისფერი იელი ჰყვავის—
ჩვენი სიმღერა ისმის.

დავემშვიდობეთ მშობელ ქალაქებს,
სახლკარს, მეზობლებს და ამხანაგებს,
დავემშვიდობეთ სკოლას;
ჩვენი სალამი მთებს და ბალაკებს,
მზეს და ბალახებს, გზებს და ბანაკებს
და მთის ნიავის ქროლას!

ხან უღრანებში ჩავიკარგებით,
ხან ისევ სერ-სერ ცამდის ვმაღლდებით—
არ გვეკარება დაღლა.
ბარში სამალი სამკალს მიზმულა,
მთაში სათიბი გადათიბულა
და კვლავ მივდიგართ მაღლა...

და მერე, როცა საღამოს ფრთებით
შორს ლურჯდებიან მაღალი მთები
და მზე ტივტივებს ზღვაში,
დავანთებთ კოცონს ამხანაგები,
დაენაყრდებით და დავბანაკდებით
და ჩვენც ვიძინებთ მაშინ.

გადმოგვივლია მთები ხალისით,—
ჩვენ საქართველოს მზეში დავიწვით,
მინდორში გვძინავს და-ძმებს;
გვძინავს და სიზმრის ფრთელი ბალიშით
დავფრენთ და ვხედავთ მშობელ ქალაქებ
ნორჩ მოგზაურთა რაზმებს.

ვხედავთ, ქართველი პიონერების—
რიონელების, იორელების,
რაზმი მაღალ მთებს გასცდა;
დგანან მაღლაკის ქარხნის კედლებთან,
დგანან რუსთავის მაღალ ბრძმედებთან,
დგანან თბილისის ზღვასთან.

ვხედავთ ყმაწვილებს ზღვაში გასულებს,
ვინც ვოლგა-დონის არხი გაეცურეს
და კოცონებთან სხედან;
ვხედავთ ჩვენსაავით მოგზაურ რუსებს,
ვოლგის კაშხალებს და დონის ბურჯებს,—
ცხრა მთას აქედან ვხედავთ!

მერე კვლავ ნისლი გაიფანტება,
კვლავ მზე მაღალი გაიბადრება,
კვლავ დღე ახალი დაიბადება—
დაღმა დავყვებით ბალას,
და ახლა ჩვენი თეთრი ქუდები,
როგორც ფარფატა მტრედის გუნდები,
ახალ სერებზე ჩანან.

დავემშვიდობეთ მშობელ ქალაქებს,
სახლკარს, მეზობლებს და ამხანაგებს,
დავემშვიდობეთ სკოლას;
ჩვენი სალამი მთებს და ბალაკებს,
მზეს და ბალახებს, გზებს და ბანაკებს
და მთის ნიავის ქროლას!

მურმან ლებანიძე

ჟ ი ო ნ ე ლ ი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

№ 7
ივლისი, 1952 წ.
ფელიეტონი XXVI

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის არხის შესასვლელის დამაგვირგვინებელი ტრიუმფალური თაღი.

დიადი გამარჯვება

ჩვენ ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, სადაც ყოველ წელიწადს საბჭოთა ხალხისათვის ახალ-ახალი გამარჯვება მოაქვს. აბა, გიახსენეთ რამდენი მნიშვნელოვანი რამ მოხდა ჩვენს სამშობლოში მარტო თქვენი დაბადების შემდეგ! ასეთი გამარჯვების წელი არის მიმდინარე, 1952 წელიც.

წელს საბჭოთა ხალხმა, დიდი სტალინის ხელმძღვანელობით, ადამიანების მრავალსაუკუნოვანი ოცნება სინამდვილედ აქცია: ორი უდიდესი მდინარე—ვოლგა და დონი ერთმანეთს შეუერთა.

ვოლგა-დონის არხის გათხრით ხუთი ზღვა: ბალტიის, თეთრი, კასპიის, შავი და აზოვის, ერთმანეთს საერთო სამდინარო მაგისტრალით დაუკავშირდა. ახლა ქართულ მარგანეცს ფოთიდან ლენინგრადში გემით ჩაიტანენ, შავი ზღვის ნავსადგურიდან გემით გასული მგზავრი ვოლგა-დონის არხით კასპის ზღვაში მოხვდება. საქართველოს მცხოვრებლებს მოსკოვში ჩასვლა მხოლოდ მატარებლით და თვითმფრინავით შეეძლოთ. ახლა კი, ინებეთ, თუ გსურთ, შავი ზღვის სანაპაროდან კომფორტაბელური თბომავლით დედაქალაქამდე სულ ზღვებითა და არხებით ჩახვალთ. ეს ახალი სამდინარო გზა ბევრად განტვირთავს ჩვენი რკინიგზის მაგისტრალებს, სადაც საბარგო ეშელონები და სამგზავრო მატარებლები განუწყვეტლივ დაგრიალებენ. მაგრამ ვოლგა-დონის არხის აშენებას სხვა მიზანიც ჰქონდა.

დონსა და ვოლგას შორის თვალუწვდენელი ნოყიერი ვილებია გადაშლილი. ოღონდ მთელი უბედურება იმაშია, რომ აქაურ მიწას წყალი აკლია. ისტრახანის მხრიდან ისეთი ცხელი ქარები დაუბერავს ხოლმე, რომ მცენარეებს ძირფესვიანად ახმობს; უწყალო მიწა ნაპრალებად სკდება. აქაური კოლმეურნეები თავიანთ ნათესებს, ყოველ ძირ მცენარეს ისე სათითაოდ რწყავენ, როგორც ნორჩი მიჩურინელები — საცდელ ნაკვეთს. აბა რა_ქნან, წვიმა აქ ისეთივე ძვირი სტუმარია, როგორც თოვლი შუა ზაფხულში.

გასული წლის შემოდგომაზე მე იმ ადგილებში ვიყავი, სადაც ახლა ციმლიანსკის ზღვა ლიცლიგებს. ეს რაიონი მეკენაფლების რაიონია. აქაური შამპანიური ჯიშის ყურძენი ჩვენებურ ჯიშებს ბევრად არც კი ჩამოუვარდება. ჰო და, ეს შესანიშნავი ვენახები ალაგ-ალაგ ისე გადატრუსულა იყო, თითქოს ვინმე ბოროტმოქმედს ზვრებისათვის ცეცხლი წუკიდებია. ეს—ვვალვის და ცხელი ქარების „ნამუშევარი“ იყო.

ვოლგა-დონის არხის აშენებით შესაძლებელი გახდა ამ უწყლო, გვალვიანი მიწების გაცოცხლება. ციმლიანსკის ზღვიდან და სხვა წყალსაცავებიდან ველებზე სარწყავი არხები გაიყვანეს.

ამ ადგილებში მე მეორედაც ვიყავი. ეს იყო ორი თვის წინ. აქაური ბუნება ამ სულ რაღაც ცხრა-ათ თვეში ისე გამოცვლილიყო, რომ, სიმართლე გითხრათ, ვეღარაფერი ვიცანი. წინათ დახეთქილ მიწაზე ახლა მწვანე ბალახი ბიბინებდა, ჭაერში პურის ყანების სურნელი იდგა, ახლად დარგული მცენარეები გაფოთლილიყვნენ და ზრიალებდნენ. ციმლიანსკის რაიონის ძველ ნამისახლარზე კი თვალუწვდენელი ზღვა ირწეოდა. ახალ-ახალი სოფლები ამ ზღვის ნაპირებზე კეკლუცად გამოიყურებოდნენ.

ციმლიანსკის ხელოვნური ზღვა ნამდვილი ზღვისგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ იგი მარილიანი არ არის; ან, როგორ იქნება მარილიანი, როცა მასში მდინარის წყალია დაგუბებული. შშენებლებმა დონზე მსოფლიოში ყველაზე დიდი კაშხალი ააგეს, რითაც გვალვიან ველებზე ვეებერთელა ზღვა შექმნეს. ამ ზღვის სიგრძე თბილისსა და ბათუმს შორის მანძილზე დიდია. აქედან მრავალი ხელოვნური სარწყავი არხი იღება სათავეს. მათ შორის ყველაზე დიდი დონის მაგისტრალური არხია. თავის მხრივ ისიც იტოტება და კოლმეურნეთა მინდვრებზე რუებად მიედინება.

ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხის აგებით როსტოვისა და სტალინგრადის ოლქების ასეულ-ათასობით ჰექტარი უწყლო მიწა მოირწყო.

ეს დიდებული არხი საბჭოთა ხალხმა უმოკლეს დროში ააშენა, 101 კილომეტრი სიგრ-



ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხის სახეიმო გახსნა 1952 წლის 27 ივლისს. ყურაკაზე: თბომავალი „იოსებ სტალინი“, რომელმაც არხზე სამგზავრო მიმოსვლა გახსნა, შედის პირველ რაბში.

ძისაა იგი და სულ რაღაც ორიოდე წელიწადში დამთავრდა. კაპიტალისტურ სახელმწიფოებში კი ვოლგა-დონზე ბეერად პატარა არხების მშენებლობას ათეული წლობით უნდებიან. ისეთი სწრაფი ტემპით მშენებლობა მხოლოდ ჩვენს სამშობლოში შეიძლება.

ჩვენი ქვეყნის ისეთ კუთხეს, ისეთ რაიონს ვერ დაასახელებთ, საიდანაც კომუნიზმის დიად მშენებლობას დახმარება არ მიეღოს. საბჭოთა კავშირის ყოველი მხრიდან მოდიოდა ხე-ტყე, მექანიზმები, ლითონი, თუჯი, მანქანა-იარაღები. ვოლგა-დონის არხის მშენებლობაში საბჭოთა სახელმწიფოს ყველა ერის შვილები მონაწილეობდნენ. მათ შორის ქართველებიც იყვნენ. ჩვენმა თანამემამულე ინჟინრებმა, მექანიზატორებმა, კალატოზებმა, ტოპოგრაფებმა საუკეთესო მშენებლების სახელი მოიხვეჭეს.

ქალაქ კალაჩში, სადაც ვოლგა-დონის არხის მშენებლობის მთავარი სამმართველო იყო (ახლა იქ არხის ექსპლოატაციის სამმართველოა), სკოლის ნათელ, ორსართულიან შენობის კედელზე ლოზუნგი გაეკრათ: „მოსწავლეებო, მიმბაძეთ ვოლგა-დონელებს!“. ეს წარწერა პირველი შეხედვისას უცნაურად მეჩვენა (ალბათ, ზოგიერთ თქვენთაგანსაც გაუკვირდება): მოსწავლეებმა არხის მშენებლებს რაში უნდა მიჰბაძონ?

კომუნიზმის დიადი მშენებლობის მონაწილეებს ყველა საბჭოთა ადამიანმა უნდა მიჰბაძოს საქმისადმი თავდადებაში, დავალების სწრაფად და საუკეთესოდ შესრულებაში. არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ ვოლგა-დონზე რომელიმე ბრიგადას ან ერთეულ მექანიზატორს დასახული ამოცანის შესასრულებლად უძნელესი დაბრკოლებაც კი არ გადაეხაოს. კალაჩელ მოსწავლეებს სწორედ აქეთკენ მოუწოდებდნენ.

ზოგიერთ თქვენთაგანს, ალბათ, ჰგონია, რომ ვოლგასა და დონს შორის ხელისგულივით სწორი ვაკეა, სადაც არხი ლარიივით გაეშიფულა. ეს ასე არ არის. მდინარეთა შორის შემაღლებული ადგილია, მაგრამ ეს ამბავი მშენებლებს სულაც არ აფიქრებდათ. შესანიშნავი საბჭოთა ტექნიკის საშუალებით მათ არხი სწორედ ამ აღმართებზე გათხარეს. ეს გზა არხის გასაჭრელად ყველაზე უფრო ხელსაყრელი იყო. ტრასაზე ასეულობით გიგანტი „მოსიარულე“ ექსკავატორი მუშაობდა. ბულდოზერებს, სკრეპერებს, მრავალცალიანი ექსკავატორებს, თვითმცელელ ავტომანქანებს ხომ თვლა არა ჰქონდა!

— არხი კი აღმართში გათხარეს, მაგრამ წყალი იქ როგორ ადის? — იკითხავს რომელიმე მკითხველი.

დიან, გემები აღმართზე „ადიან“. ეს რაბების საშუალებით ხდება. არხზე ცამეტი რაბია აგებული: ცხრა—ვოლგის ფერდობზე, ოთხი კი—დონის მხარეს. როცა გემი ამ ბეტონის კამერაში შევა, რკინის კარებები დაიკეტება და რაბი წყლით ივსება. წყლის დონესთან ერთად, რა თქმა უნდა, გემიც ზემოთ იწევს და როცა იგი არხში წყლის დონეს გაუთანასწორდება, მაშინ რაბის კარები იღება და გემიც არხში გადის. ასეთნაირად თმომავლები აღმართზეც „ადიან“ და თავდაღმართზეც „ეშვებიან“.

არხი ვოლგას სტალინგრადის განაპირა რაიონში, კრასნოარმეიისკში უერთდება, დონს კი—ქალაქ კალაჩთან.

კრასნოარმეიისკი ეს ის ადგილია, საიდანაც 1942 წლის ნოემბერში საბჭოთა არმიამ ისტორიული შეტევა დაიწყო, ფაშისტთა სამასათასიან არმიას ალყა შემოარტყა და გაანადგურა. ამ წმიდათა-წმიდა მიწაზე, ლენინის სახელობის არხში შესასვლელთან ახლა დიდი სტალინის მონუმენტი დგას. მონუმენტის ფიგურა გრანდიოზულია—ოცდაექვსი მეტრის სიმაღლისაა, და მისი დანახვა ისეთი სიშორიდან შეიძლება, საიდანაც დიდრონი მთები მოსჩანან ხოლმე.

ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის არხზე რეგულარული მიმოსვლა ოცდაშვიდ ივლისს გაიხსნა. ეს დღე საბჭოთა ხალხის ნამდვილ ზეიმად იქცა. ვოლგა-დონის სახელოვანი მშენებლები, მრავალრიცხოვანი სტუმრები სიხარულით და სიყვარულით შესაქებროდნენ ბელადის გრანდიოზულ მონუმენტს და მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მადლობას ეუბნებოდნენ ბედნიერ ცხოვრების შემოქმედს, კომუნიზმის ბრწყინვალე ხუროთმოძღვარს დიდ სტალინს.

ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხი კომუნიზმის დიად მშენებლობათაგან პირველი ჩადგა მწყობრში. არხის მშენებლები თავიანთი ტექნიკით სხვა, ახალ, დიად მშენებლობებზე გაემგზავრნენ. ისინი მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად კომუნიზმს აშენებენ.

ირაკლი გოცირიძე

ვოლგა-დონი

ალექო შენგელია

სიმღერა თბილისის ზღვასთან

თბილისს ზღვის ნახვა უნდოდა,
აჰა, გახედეთ, ზღვაც არი!
ფესვი გაიდგა ვენახმა,
გაღვივდა ოქროს მარცვალი.

გახედეთ სანაპიროთა
ლურჯად დახატულ არშიას,
სამგორის მიწა გაცოცხლდა,
არცა წყურია, არც შია!

თბილისში განთიადისას
ხეებს რომ ნამი ჰკიდია,
განა შორიდან მოსულა,
ჩვენი სამგორის მკვიდრია!

ბაღებს, პროსპექტებს ნიავის
ქრქოლა რომ ტკბილად დაუვლის,
არ გესმით სიოს ჩურჩულში
ჩვენი ზღვის ტალღის ხმაური?

გახედეთ, მთებზე, ველებზე
ზღვამ ლურჯი ფერი დაღვარა,
ხალხმა ფერფლსა და ნაცარზე
სიცოცხლე ახლად ახარა.

თბილისს ზღვის ნახვა უნდოდა,
აჰა, გახედეთ, ზღვაც არი!
ფესვი გაიდგა ვენახმა,
გაღვივდა ოქროს მარცვალი.

ლიდია მეგრელიძე

მხატვარი გ. ფოცხიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარაჯის შვილი

ცელქი ბიჭია ზურიკო. სკოლაში ისე იქერს თავს, თითქოს ამხანაგებში ყველაზე დინჯი ის იყოს. შინ რომ ბრუნდება ყველაფერს იკლებს.

— რა ამბავია, ზურიკო, გეყოფა ცელქობა! ახლა მეტი ჭკუა გმართებს: ხვალ-ზეგ უკვე თორმეტი წლისა გახდები.— ამ სიტყვებით მიმართა დედამ ფანჯარასთან მდგომ ზურიკოს, რომელიც თითებს დაუწყნარებლად აკაკუნებდა რაფაზე, დედასაც აწუხებდა და მეზობელსაც.

ღამდებოდა. თოვდა. ეზო თეთრად იმოსებოდა.

ზურიკოს მამა – ჯუმბერი ჯერ არ დაბრუნებულიყო ქარხნიდან. ქარხანაში კრება გვაქვს დღესო,—გუშინ ამბობდა. ზურიკო არასოდეს დაინტერესებულა მამის სამუშაოთი, არ ყოფილა ქარხანაში და არ უნახავს მამა რას აკეთებს იქ. სკოლაში კარგახანია ემზადებოდნენ მოსწავლეები ქარხანაში წასასვლელად. აი მოაღწია კიდეც დანიშნულმა დღემ.

— კიროვის სახელობის ქარხანაში ვაპირებთ წასვლას, პატივცემულო მასწავლებელო?!—ჰკითხა ზურიკომ მასწავლებელს ამ ღილით.

— დიახ, სწორედ იქ მივდივართო, ძალიან საინტერესო ქარხანაა.

ზურიკო ახლა სწორედ ხვალინდელ ექსკურსიაზე ფიქრობდა. ყმაწვილი უხერხულობას გრძნობდა იმის გამო, რომ მასწავლებელი და მოსწავლეები ქარხანაში ნახავდნენ მამას მაზუთით, ნახშირით და რკინის ქანგით მოსვრილს, სწორედ ისეთს, როგორიც ჯუმბაობის შემდეგ ბრუნდება ხარატი შინ. ზურიკოს უნდოდა კვირაღლეს გასცნობოდნენ ამხანაგები ახალ კოსტუმში გამოწყობილ მამას, პროსპექტზე ზურიკოსთან ერთად. მაშინ სულ არ ჰგავს მამა დაზგაზე მომუშავე ხარატს. კულტურაზე და ხელოვნებაზე ბაასობენ, თეატრის აფიშებს თვალიერებენ...

„არა, ხვალ არ წავალ ექსკურსიაზე.—გაიფიქრა ზურიკომ, — უჩემოდ ვინ იცნობს მამას“. ზურიკოს აზრით მამა უხერხულ მდგომარეობაში ჩადგება მასწავლებლის და მოსწავლეების წინაშე სპეცტანისამოსით, ქანგიანი ხელებით.

ამ ფიქრებში იყო ზურიკო. ახლა თითებს უმბაოროდ და რიტმულად ათამაშებდა.

— წადი, ზურიკო, აბაზანას ცეცხლი შეუკეთე, სადაცაა მამაშენიც მოვა.—უთხრა დედამ ალერსიანი ხმით და ელექტრონის უთო ჩართო. ზურიკომ უკმაყოფილოდ შეხედა დედას, ზანტად მოშორდა ფანჯარას; ძალიან ეზარებოდა, როცა დედა აბაზანის გასათბობად გზავნიდა.

ქარხანას, სადაც ჯუმბერი მუშაობს საკუთარი აბანო აქვს; ყველა საამქროს თავისი შხაპი აქვს. მაგრამ ჯუმბერმა სახლში გაიკეთა აბაზანა. სახლში ურჩევნია მშვიდად გამოიცვალოს თეთრეული. ქარხნის ჭუჭყით მოსვრილ ხარატს მუშაობის შემდეგ შეჩვეული აქვს სხეული თბილ წყალში ბანაობას. ბანაობის შემდეგ თავს მსუბუქად გრძნობს, სიყვარულით ულიმის ცოლ-შვილს, ენერგია ემატება.

„ვეტყვი მამას, ხვალ ახალი კოსტუმით წავიდეს ქარხანაში. არ შეიძლება ფაქიზად იმუშაოს? დიახ, შეიძლება“... — გაიფიქრა



ზურიკომ და აბაზანას ცეცხლი შეუკეთა. ამ აბაზანამაც ძალიან მოაბეზრა თავი. არც ის სპეციტანისამოსი მოსწონს, რომელსაც საღამოობით მამა შუშაბანდში ჰაიდებს. სიამოვნებს, როცა ბანაობის შემდეგ ოთახში სუფთა, ზოლებიანი პიჟამოთი შემოდის. „რაღა მაინცდამაინც ქარხანაში მუშაობს მამაჩემი?“ წაიბუტბუტა ზურიკომ თავისთვის და დედას შეხედა:—დედა, მამამ რომ სხვაგან იმუშაოს სადმე, არ შეიძლება?

— სად უნდა იმუშაოს შვილო, მამაშენი ხარატია. ხარატმა ქარხანაში უნდა იმუშაოს... რაო, არ მოგწონს მამაშენი?!

ზურიკოს შერცხვა, თავი დახარა.

— მე ეს არ მითქვამს... მე მინდა მხოლოდ მამაც მუდამ სუფთად იყოს ჩაცმული, ისე, როგორც ჩემი მასწავლებელია, პატივცემული დავითი. ან ისე, როგორც უქმე დღეებში თვითონ იცვამს, როცა ჩვენ ყველანი კინოში მივდივართ, ან სტუმრად ბიძია ნიკოსთან. ხელებიც ისე რბილი... მამას მაგარი ხელები აქვს, ცოდვაა.

— ჰოო, ეს გინდოდა გეთქვა? მაგარ ხელებს რა უშავს, იმიტომაც მაგარ საქმეს აკეთებს.

ამ დროს ზურიკოს მამამ შემოაღო კარი, ჩვეულებრივად მოავლო თვალი სახლობას.

— თოვლი ფეხს იკიდებს... — სიცილით თქვა მან.

* * *

საამო სანახავია ქალაქის გარეუბანი. თოვლით გადაბარდნილა პატარა სახლები, ეზოები, ბაღები. სხვა პიონერიებთან ერთად ზურიკოც მიჰქრის ქარხნისაკენ ავტობუსით. უახლოვდება ზურიკო ქარხანას და გული უცემს. არ იცის ზურიკომ რა პირობებში ნახავს მამას სამუშაოზე, ისიც ამდენ ხალხში. უფროსი კლასებიდანაც არიან მოსწავლეები ექსკურსიაზე. მანქანა ქარხნის კარებთან შეჩერდა. ბავშვები ერიამულით გადმოვიდნენ. ბავშვებს მასწავლებელი მიუძღვის წინ. ყველას ფანქარი და რვეული უჭირავს ხელში. ზოგი მოხსენებისთვის აგროვებს მასალას, ზოგი კედლის გაზეთისათვის, ზოგი ქარხნის დახატვას აპირებს გამოფენისათვის.

აი წინმძღოლიც მოვიდა.

— ყმაწვილებო,—მიმართა მან ბავშვებს მისალმების შემდეგ,—ჩვენი ქარხანა დიდ დახმარებას უწევს კომუნიზმის დიად მშენებლობას. სად არ იგზავნება ჩვენი დაზგები:

ეოლგა-დონზე, შუაჯაზის არხის მშენებლობაზე, წარმოიდგინეთ ჩინეთშიც!

— ჩინეთშიც?!—წამოიძახეს გაკვირვებით ბავშვებმა.

— ბევრი ადგილიდან ვიღებთ მადლობის წერილებს კარგი ხარისხის დაზგებისათვის. ამასწინათ სწორედ ჩინეთიდან მივიღეთ ასეთი წერილი.—თქვა წინმძღოლმა და ყველანი შენობისაკენ გაემართნენ. ზურიკო ყოველ მხარეს იცქირებოდა გაფაციცებით, მაგრამ მამას ვერსად მოჰკრა თვალი. „იქნებ დღეს თვითონ წავიდა სადმე მამა?“—გაიფიქრა ზურიკომ. მეორე შენობაში შესულისთანავე პირველ დაზგასთან შეჩერდა წინმძღოლი. ბავშვებიც იმ დაზგას შემოხვევენენ.

— ეს ხარატი, — ხმამაღლა წარძოსთქვა წინმძღოლმა,—ორ დაზგაზე მუშაობს. შეხედა ზურიკომ დაზგასთან მდგომ ფართე სათვალეებიან კაცს. შეკრთა, სახე აენთო. სწორედ ეს ხარატია ზურიკოს მამა.

ჯუმბერმა ბავშვებში თავისი ბიჭუნა შენიშნა, გაუხარდა—ზურიკო, შენც აქა ხარ?—გაუცინა შორიდან შვილს და თვალები ისევ დაზგაზე დახარა. არ სცალია სტუმრებისათვის ჯუმბერს. მხოლოდ ხანდახან გამოხედავს. მერე წინ გადადგამს ნაბიჯს მეორე დაზგისაკენ, ისევე წამს პირველს უბრუნდება; თვალით სინჯავს ორიეე დაზგის ხამხად დეტალს. წინმძღოლი უსმენს ბავშვებს თუ რა არის სიტყვა „კონვეიერული“, ან რას ნიშნავს „განუწყვეტელი დენი“...

— ეს ხარატი ახლა ორმოცდათხუთმეტი წლის ანგარიშში მუშაობს. სამი წლის ნორმა გამოიმუშავა.

ბავშვებმა ტაშით და „ვაშას“ ძახილით დაიჯილდოვეს ზურიკოს მამა და ქარხნიდან ერიამოულით გამოიშალნენ ქუჩაში. ყველას მიჰქონდა სამახსოვროდ რკინებზე ანასხლეტი ფერადი ბუობუშელები.

* * *

ექსკურსიის შემდეგ ზურიკო გვიან დაბრუნდა შინ. ლამაზი ბუობუშელი თავის სამუშაო მაგიდაზე დადო და ღიმილით დააცქერდა.

ზურიკო ორასოდეს დაივიწყებს იმ ქარხანას, სადაც მამა მუშაობს. ის არ ჰგავს მის მყუდრო ბინას, არც სკოლას. სულ სხვაა ქარხანა.

ზურიკოს გაახსენდა როგორი ტაშის გრიალით დაიჯილდოვეს მისმა ამხანაგებმა მამა, როგორ სიყვარულით შესცქეროდა მასწავლებელი მას, როცა ხელს არომეკედა.

საათმა ექვსი დარეკა. ზურიკო მარადად წამოხტა, გაახსენდა, აბაზანა უნდა გაეკეთებინ. ახლა თვითონ გასძახს:

— დედა, აბაზანა გავათბო?

როგორ გაეხარდა დედას, რომ მისმა ბიჭმა თვითონ მოინდომა აბაზანის გათბობა. აგერ მამაც მოვიდა. ძლიერ მოქანცული გამოიყურება. ზურიკომ სწრაფად მოუმზადა მამას საბანაო ნიეთები, სპეციტანისამოსიც თვითონ დაჰკიდა შუშაბანდში.

დღეს პირველად შეიგნო ხარატის შვილმა, თუ რა მძიმე მოვალეობა აწევს სამშობლოს წინაშე მამა ჯუმბერს. „თუჯში და ფოლადში იქედება ჩვენი ქვეყნის მშვიდობაო“,—კიდევ გაახსენდა მასწავლებლის სიტყვა.

საღამოს ზურიკომ დიდხანს იფიქრა, როგორ შეედგინა დღის განაწესი, როგორ გაენაწილებინა საათები, და ამ ფიქრში ჩაეძინა. დილით ადგა, პირველად დღის განაწესი ჩამოწერა და თავის მაგიდასთან დაკიდა.

როცა ზურიკო სკოლაში წავიდა, დედამ თვალი გადაავლო განაწესს და სახე გაუბრწყინდა. კარგად იყო შედგენილი განაწესი, რამდენიმე ახალი მუხლი შეეტანა შიგ ზურიკოს, მათ შორის ერთი ასეთი:

„6 საათზე—აბაზანის გათბობა“.

ჩვენი ახალგაზრდა პოეტები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თელები ივრის პირას

ჯეჯილებს არხეულ ნიავი წყნარი,
მზით ავსებულან მწვანე სერები,
ქვებზე ოქრიალით ვარდება წყალი
და მეთევზეებს გვანან თელები.

წყალში ტოტები გაშლიათ ფართოდ,
ბადეებივით გადაუსვრიათ,
დგანან და ტალღის ხმაური ერთობით
და სამგორიდან ამბავს უცდიან.

ამბავს უცდიან, დგებიან ცერზე,
კალთას ახვევენ ტალღებს ხელებით,
— შეგვატყობინეთ, სამგორის ველზე
თუ შრიალებენ უკვე თელები.

ოთარ ჭილაძე

ჰ ე ს ი

ღამე ჩაწვება ხევებში ქვნესით,
რუხი მანდილით გორებს შემოსავს,
სოფელში ველარ ბედავს შემოსვლას,
რაც ააშენეს არაგვზე ჰესი.

სხივი დაღვრილა ოქრის ფერებად,
სახლს მისცემია სულ სხვა იერი,
დედა ილიჩის მზეს ეფერება,—
ალერსიანი და ბედნიერი.

ჭაღარა მამა კითხულობს გაზეთს,
გულით ადიდებს სტალინის ამაგს.
მშვიდობის გზაზე, სიცოცხლის გზაზე
სოფელი მუდამ მიჰყვება ქალაქს.

გიორგი გიგაური

ბათუმის პიონერთა პარკში

გარუჯულები შავი ზღვის მზეში
ტბაზე დაჭერიან ბაიადერებით,
და ბედნიერი ცხოვრების ეშხით
მზეს უცინიან პიონერები.

ნაპირთან ისმის სმელერა ტკბილი,
ბავ ვოა სიცილი, ცეკვა და ტაში...

ევკალიპტების გრძელდება ჩრდილ,
დინჯად შემოდის საღამო ბალში...

ნელა მექცევა ბალის ფერები,
ყველაფერს ზღვის და ზეცის ფერი აქვს,
გემზე ასულან პიონერები
და „პიონერეულს“ გაიმღერიან.

ეასხანგ გოგოლაშვილი

ე ქ ს კ ა ვ ა ტ ო რ ი

აუღერია კისერი,
ძირს დაუშვია ხორთუმი;
ტრამალებს ჯავშნით მისერავს,
ალისფერ დროშით მორთული.

ხოთხოთებს, თითქოს ტანია,
სადაც მიადგა ეშვებით
მთების კალთები დახია
და გადმოჰყარა პეშვებით.

უდაბნოს წყალი მიუშვა,
ბალად აქცია ტრამალი...
გზა გაჰყავს კომუნიზმისკენ
სულ გამარჯვებით სავალი.

გოგი წერეთელი



ნახატი ბ. გორგაძისა

ქართული ფოლადი

ქართულ ფოლადს დიდი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ VI საუკუნეში ჩვენს ერამდე, ე. ი. დაახლოებით 2600 წლის წინათ, საქართველო ცნობილი იყო, როგორც მაღალხარისხოვანი უძანგავი ფოლადის დამამზადებელი ქვეყანა.

მეტად მაღალ შეფასებას აძლევდნენ ბერძნები იმდროინდელ ქართველ მეტალურგებს. „ხალიბური (სამხრეთ საქართველო) რკინა განსაკუთრებული წარმოშობისაა, — ვკითხულობთ ბერძენთა ნაწერებში,—ის მზადდება იმ ქვიშისაგან, რომელიც თან მოაქვს ხალიბების მდინარეებს. ხალიბები რამდენჯერმე რეცხავენ მას და აღნობენ ე. წ. „ცეცხლგამძლე ქვასთან“ ერთად, რომელიც დიდი რაოდენობით მოიპო�s ამ ქვეყნაში“.

ხალიბები ისეთ მაღალხარისხოვან რკინას ამზადებდნენ, რომელსაც ძნელად განასხვავებდით ვერცხლისაგან. ასეთი რკინა არ იჟანგებოდა. მაღალხარისხოვანი ფოლადის დამზადება ბერძნებმა პირველად ხალიბებისაგან ისწავლეს.

აი, ამიტომაც უწოდებდნენ ბერძნები ფოლადს „ხალიპსს“, რაც მათ ენაზე ხალიბურ ლითონს ნიშნავს.

მაგრამ მრავალი საუკუნის განმავლობაში საქართველოს ტერიტორია ბრძოლის ველს წარმოადგენდა. ცეცხლი და მახვილი მოჰქონდათ აქ არაბებს, თურქებს, სპარსელებს, მონღოლებს. ნადგურდებოდა ქართული კულტურა, იწოდა ნათესები, დავიწყებას მიეცა ქართული ფოლადიც. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, სტალინური ხუთწლედების მანძილზე შესძლო ქართველმა ხალხმა სახალხო მეურნეობისა და კულტურის ნამდვილი აღორძინება. კვლავ აღსდგა ოდესღაც ცნობული ქართული მეტალურგიაც.

რუსთავში, იქ, სადაც ქარის სათარეშო ტრიალი მინდორი იყო, დიდი სტალინის მითითებით აშენდა რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, რომელსაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 13 ივლისის ბრძანებულებით მიენიჭა ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის სახელი.

აი, თბილისის სადგურიდან დაიძრა ელექტრომავალი. იგი რუსთაველსკენ მიგაქროლებთ. უკან რჩება თბილისის უკანასკნელი გარეუბანიც. ელექტრომავალმა ოცდაათი კილომეტრი სწრაფად დაფარა. გამოჩნდა ინდუსტრიული ქალაქი—რუსთავი, თავისი ახალი, მწყობრად აგებული შენობებით, მეტალურგიული ქარხნის მბოლავი მილებით. რუსთავის სადგურიდან ქარხანაში თქვენ ავტობუსით მიიმგზავრებით მოასფალტებული გზატკეცილით. აი, ქარხანაც. მასში შესვლისას თვალს გიჭრელებთ ამ თავმოყრილი ტექნიკის ნაირსახეობა. ასეთი ქარხანა რომ ენახათ ხალიბებს, ალბათ ღვთაებრივი მანქანები ეგონებოდათ. აქ ყოველი სახის სამუშაოს მანქანები ასრულებენ.

„საკაზმი“ ეწოდა რამდენიმე უზარმაზარი ორმოა ამოთხრილი. ყოველ მათგანში მოთავსებულია ფოლადის დასამზადებლად საჭირო მასალები. ერთში ნახავთ რკინის ნამტვრევებს, მანქანის უვარგის ნაწილებს, თუნუქის ნავრგს, რკინის ბურბუშელას, მეორეში—ქვანახშირს და სხვა.

პირველ ორმოსთან მიეცოცდა ხიდის მსგავსი ლითონის ვეებერთელა მანქანა—ხიდური ამწე. მან ორმოში ჩაუშვა ფოლადის ბაგირებზე დაკიდებული ლითონის ბადრო—ელექტრომაგნტი. ბადროს წებოსავით გაეკრა ორმოში ჩაყრილი რკინის ჯართი. ელექტრომაგნიტმა იგი ზევით აიტაცა და ჩაყარა სატვირთო ვაგონებში. მომდევნო ვაგონებში სხვა მანქანებმა ჩატვირთეს ქიათურის მანგანუში, ზესტაფონის ფეროშენადნობი, სხვებში—კირქვა, კოქსი და ფოლადის დასამზადებლად საჭირო სხვა მასალა. გაისმა ნიშანი და ამ მასალით დატვირთული შემადგენლობა დაიძრა ადგილიდან. ის მარტენის ღუმელებისკენ მიემართება, სადაც უნდა მოხდეს მათი გადნობა ფოლადის მისაღებად. მარტენის ღუმელებთან მისვლამდე ვაგონების შემადგენლობა ჩაუვლის ერთერთ პატარა შენობას. ამ ადგილს ლიანდაგის ქვეშ მოწყობილია ავტომატური სასწორი, რომელიც სწონის მასზე გავლილ შემადგენლობას და ამ წონის შენობაში მოთავსებული მოწყობილობის საშუალებით ატყობინებს იქვე მჯდომ მუშას. შემადგენლობა განაგრძობს სვლას და შედის გრძელ, ვანიერ შენობაში—სამარტენო საამქროში, რომლის შუა ნაწილში მის მთელ სიგრძეზე მარტენის ღუმელებია განლაგებული. აი, ამ ღუმელებში სრულდება ძირითადი სამუშაო—ფოლადის გამოდნობა.



ინდუსტრიული პეიზაჟი.
ფოტორეპორტიორ ეფიმა ბსატვარ ა. ეფენტის ეტიუდიდან.

ღუმელების ორივე მხარეს ლიანდაგია დაგებული. ერთი ხაზი განკუთვნილია საამქროში მასალის შემოსაზიდად, ხოლო მეორე—საამქროდან მზა ფოლადის გასატანად. ღუმელების იმ მხარეზე, სადაც საფოლადე მასალა უნდა ჩაიტვირთოს ღუმელში, სპეციალური მექანიკური მოწყობილობა დგას, რო-

მელიც განკუთვნილია ვაგონებიდან ღუმელში მასალის გადასატვირთად.

აი, ვაგონების შემადგენლობა გაჩერდა ღუმელებთან. გაისმა ნიშანი, გაიხსნა ღუმელის კარები და აქვე, ცალკე ოთახში მყოფმა მემანქანემ, სპეციალური სამართავი მოწყობილობის მეშვეობით, მოძრაობაში მოიყვანა ვაგონებიდან ღუმელში მასალის გადამტვირთავი მექანიზმები, რომელმაც საფოლადე მასალით დატვირთული შემადგენლობა დასცალა ღუმელში. ღუმელის კარი კვლავ დაიხურა, ხოლო დაცლილი შემადგენლობა უკანვე წამოვიდა „საკაზმო“ ეზოში, რათა იქიდან კვლავ მიუტანონს ახალი ულუფა მარტენის ღუმელებს. ღუმელების მართვა ხდება ცალკე შემოღობილ განყოფილებაში მოთავსებული სპეციალური სამართავი მოწყობილობით. აქ ნახავთ მარმარილოს განიერ დაფაზე დამაგრებულ სხვადასხვა ხელსაწყოებს. აქვეა პატარა ყუთიც, რომლის ზედაპირზე მოთავსებული სხვადასხვა ღილაკები და სახელურები, რომელთა საშუალებით მემანქანე არეგულირებს ღუმელში საწვავის მიწოდებას, ტემპერატურასა და სხვას, რასაც მას დაფაზე მოთავსებული ზომი ხელსაწყოება უკარნახებენ.

აქ, მუშას არ უხდება ღუმელის საცეცლურთან დგომა და მასში საწვავის ხელით ჩატვირთვა. ყველაფერი ეს მექანიზებულია. ღუმელში ფოლადის გამოსადნობად ათი საათია საჭირო. როცა ეს დრო მოვა, ღუმელს მეორე მხრიდან მიადგება სპეციალური ცეცლგამძლე მასალიდან დამზადებული ღარი. ამ ღარის ერთ ბოლოს მიუშვერენ ღუმელის კედელს, იქ, სადაც ფოლადის გადმოსასხმელად ხვრელია გაკეთებული.



ინდუსტრიული პეიზაჟი.
ფოტორეპროდუქცია მხატვარ ბ. გორგაძის ტილოდან.

ამავე დროს მოძრაობაში მოდის საამქროს ქერთან მოთავსებული ხიდის მსგავსი მექანიზმი — ხიდური ამწე, რომელიც თავისი უზარმაზარი რკინის „თათებით“ მოიტანს და დადგამს ღარის მეორე ბოლოსთან ვეებერთელა ქვაბს, — რომელსაც ფეტალურგები ციცხს უწოდებენ. ამის შემდეგ, სპეციალური ხელსაწყოთი, შეანგრევენ ღუმელიდან ფოლადის გადმოსასხმელ ხვრელს, რომელიც მანამდე ცეცხლგამძლე მასალით იყო შელესილი. წარმოშობილი ხვრელიდან მოელვარე, თეთრი გამდნარი ფოლადი მსხვილ ნაკადად გამოედინება მასზე მიდგმული ღარით ციცხვისკენ. ციცხმა გავსება იწყო. ციცხში ჩასხმული გამდნარი ფოლადის ზევითა შრე უფარგისია, მას წიდა ეწოდება. მურაბის ქაფის მსგავსად ისიც უნდა მოვაცილოთ გამდნარ ფოლადს. ამ მიზნით ციცხვის ზევითა ნაპირზე სპეციალური ღარია გაკეთებული, რომლის საშუალებით გავსებული ციცხვიდან ცალკე ჭურჭელში გადმოდის წიდა. ციცხს ფსკერში ნახვრეტი აქვს, რომელიც დაცულია ლითონის მსხვილი ღეროთი. ეს ღერო განსაკუთრებული სახის საცობს წარმოადგენს.

აქვე, ციცხვთან გადის ლიანდაგის მეორე ხაზი, რომელზეც დგას ვაგონების შემადგენლობა. ამ ვაგონებზე დადგმულია თუჯის ჭურჭლები, რომელთაც სწორაკუთხა პრიზმის მოყვანილობა აქვთ. ამ ჭურჭლებში ციცხვიდან გამდნარი ფოლადი უნდა ჩაისხას და გამყარდეს, რათა მიეცეს მას განსაკუთრებული, პრიზმული ფორმა. ამ ჭურჭლებს ბოყვები ეწოდება.

აი, ხიდურმა ამწემ აიტაცა გამდნარი ფოლადით გავსებული ციცხვი, წამოიღო ის; გაიხსნა ციცხვის საცობი და იმავე ხიდური ამწის დახმარებით ყველა ბოყვი გამდნარი ფოლადით აივსო, ხოლო დაცლილი ციცხვი კი იქვე ახლოს დაეშვა.

ბოყვებში გამყარებული ფოლადის ვეებერთელა ნაჭრების სიმაღლე დაახლოებით ორი მეტრია, ხოლო სისქე და სიგანე კი—ნახევარი მეტრი.

მას შემდეგ, რაც ყველა ბოყვი ფოლადით აივსება, ბოყვებით დატვირთული რონოდების შემადგენლობა გამოდის სამარტენო საამქროდან და მიემართება ეგრეთწოდებულ საგლინავ საამქროში.

შემადგენლობა შეეფიდა ამ საამქროში. საგლინავი საამქრო გრძელ შენობას წარმოადგენს, რომლის მთელ სიგრძეზე გაკეთებულია როლგანგებებანი ტრანსპორტიორი. ეს ტრანსპორტიორი წარმოადგენს ერთიმეორის გვერდით, სიგანეზე ჩაწყობილ მბრუნავ ლითონის კოჭებს. მისი მიზანია რაიმე ტვირთი ერთი ბოლოდან მეორეში გადააცოროს. როლგანგებიანი ტრანსპორტიორი პირველ ყოვლისა გაიელის გასახურებელ სათავსოს, სადაც უნდა მოხდეს ფოლადის ნაჭრების გახურება. ტრანსპორტიორის შემდგომი ნაწილი გადის რამდენიმე ხიდის მსგავს მანქანაში, რომელთაც ბლუმინგები ეწოდებათ. მათი დანიშნულებაა დაწვრილებული და წაგრძელებული ფორმა მისცეს მათში გატარებულ ფოლადის ნაჭრებს.

საამქროს მეორე ბოლოში, შესასვლელთან დაგებულ ლიანდაგზე დგას ცარიელი ვაგონების შემადგენლობა, რომელმაც საგლინავ საამქროდან უნდა გაიტანოს ფოლადის მზა ნაწარმი გრძელი ზოდების სახით. აქვე, ფერ-ქვეშ მოთავსებულია მცოცავი ხიდური ამწეები, რომელთაც საამქროს მთელ სიგრძე-სიგანეზე შეუძლიათ მოძრაობა.

ბოყვებით დატვირთული ვაგონები შემოვიდა საგლინავ საამქროში. ამოძრავდა ხიდური ამწეც. ის თავისი რკინის „თათებით" ფაქიზად აძრობს ფოლადის ნაჭრებს ბოყვებიდან და ასევე ფრთხილად სდების ზემოაღწერილ როლგანგებიან ტრანსპორტიორზე, რომელიც მათ გასახურებელ მოწყობილობაში მიასრიალებს. იქ ისინი ხურდებიან და ტრანსპორტიორივე გამოდიან იქიდან გავარვარებული სახით. ასეთ მდგომარეობაში ისინი უფრო რბილია და მათთვის სასურველი ფორმის მიცემა უფრო ადვილია. გახურებული ფოლადის ნაჭრები განაგრძობენ სრიალს ტრანსპორტიორზე და უახლოვდებიან ხიდის-მაგვარ მანქანებს—ბლუმინგებს, რომლებმაც მათ უნდა მისცეს სასურველი, წაგრძელებული ზოდის ფორმა. აი, ერთი ნაჭერი შეიჭრა კიდეც ამ მანქანაში და სულ რამდენიმე წამში გრძელი ფოლადის ზოდი მზადაა. ფოლადის ზოდი განაგრძობს ტრანსპორტიორზე სრიალს და შეიჭრება მეორე ასეთივე ბლუმინგში, სადაც ის უფრო დაწვრილებულ ფორმას იღებულობს. ასეთი ბლუმინგი რამდენიმე დგას. როდესაც ფოლადის ზოდი ყოველ მათგანს გაიელის, საამქროს მეორე ბოლოში მისრიალდება და გაჩერდება; ახლა მოძრაობაში მოდის ხიდური ამწე, რომელიც ელექტრომაგნიტური ბადროს მეშვეობით აიტაცებს ფოლადის ზოდს და დასდებს ცარიელ რონოდების შემადგენლობაზე. ფოლადის პირველ ზოდს მეორე მოჰყვება, და სულ მალე ისინი ავსებენ ცარიელი ვაგონების შემადგენლობას. დატვირთული ვაგონები ადგილიდან იძვრიან და თან მიაქვთ ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა ქალაქებში ქართული ფოლადი.

ინჟინერი ო. ჩიხლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ ინანიშვილი

მხატვარი შ. ცხადაძე

ჰასანის საოხოვარი

მოთხრობა

ნურც ცხენზე შესვამთ, ნურც კონფეტებს უყიდით, ნურც ახალ ხალათს შეუკერავთ; ოღონდ, როდესაც ხაშმში წახვიდეთ, ჰასანიც წაიყვანეთ, აკვიდეთ ყმაწვილს საგზალი; არც ტვირთის აღება-ჩამოღებაში მიეხმაროთ, არც იორზე გასვლაში—მაინც ყოჩაღად ივლის. თქვენ ნუ ამოიღებთ ხმას; ის დააყენებს მთელს უბანს ფეხზე. ძაღლების სულაც არ ეშინია. ყოველ სახლთან მივა და შესძახებს. ნახეთ რა ხილი გაყიდინოთ! ან კი მთელი სოფლის ფეხზე დაყენება რად გინდათ! ჰასანი თავის ყონაღთან* მიგიყვანთ. რა ყონაღი ჰყავს რომ იცოდეთ; ყველაფერს ის მოგართმევთ. გაგიღებთ ბაღის კარებს; შედით, რაც გინდათ ის მიირთვით. ქლიავი გინდოდეთ—ქლიავი ინებეთ, ატამი გინდოდეთ—ატამი, მსხალი გინდოდეთ და—მსხალი. ყველაფერი უდგას, ყველაფერს ტოტები ეზნექება ნაყოფის სიმძიმისაგან. ოღონდ არაფერი გააფუჭოთ, ტოტი არ მოსტეხოთ, გული არ ატკინოთ ჰასანის კარგ ყონაღს. იცით რას იტყვის ხოლმე ის მოხუცი; ხეს რომ ულაზათოდ ტოტს მოუგრეხენ, ასე მგონია, მე მომიგრიხეს მკლავი; ხეს რომ ტოტს მოსტეხენ—მე მომტეხეს რამეო. შვილიკით გაუზრდია ყველა, მიგა და შეეხმიანება:

— ჰა, როგორა ხარ, ჩემო ვაშლო? ხომ არა გიჭირს რა?! წყალი ხომ არ მოგწყურდა?! ამ ფოთლებში რა გყავს? ბოგანო?! ჰაი, გასატიალეებელო ბოგანოვ! შემომეპარე?! მე გასწავლი ჭკუას!

იმისთანა მებაღე ორი არ იქნება ჩვენს მხარეში. ჰო, ასე ამბობენ, ვისაც გინდოდეთ იმასა ჰკითხეთ!

გინდათ იცოდეთ ჰასანის ყონაღი საიდანღა არის? ყური დაუგდეთ, გიამბობთ.

როგორც თითქმის ყველა მუღანლოელს, არც ჰასანიანთ უდგაო ხეხილი. რამდენჯერმე დარგეს, მაგრამ იმავე წელიწადს გაახმო სიცხემ. თუ წყალი არ ექნება, აბა რა გაუძლებს სამგორის მზეს!? როგორც ყველა მუღანლოელი ჰასანიანიც ხაშმელებისაგან ყიდულობენ ხილს.

* ყონაღი—ნაცნობი, მეგობარი.

— წამოზვალ ხაშში. იქ ბევრი, ძალიან ბევრი ატამია

ჰოდა, აი ერთ დილას ძახილი ესმის:

— ატამი! იახში შაგტალ! კარგი ატამი!

ჰასანს ეაშლიც უყვარს, მსხალიც, კომშიც, მაგრამ ატამი ყველაფერს ურჩევნია; საპოტ ატამს არაფერში გასცვლის.

გაიგონა თუ არა ის ხმა, შინ შეეარდა და დედას მოუხვია; არაფერი უთქვამს. გარედან ისმოდა:

— ატამი! იახში შაგტალ!

დედა თვითონ მიხვდა, რაც უნდა ეთხოვნა ჰასანს. გაეღიმა, თავი გადააქან-გადმოაქანა. ჰასანსაც სხვა არა უნდოდარა. დედის ღიმილი თანხმობის ნიშანი იყო, აკოცა, შეხტა, შემოტრიალდა, სპილენძის თასს ხელი წამოავლო, დედას ფული გამოართვა და გარეთ გამოვარდა.

მაგრამ მარტო ჰასანს ხომ არ უყვარს ატამი. მთელი მათი უბნის გოგო-ბიჭი მისვლია პატარა ორთვალას, რომელზედაც თეთრწვერა მოხუცი დგას. ეყივიან, ეოჩქოლეებენ, ფულებს აფრიალებენ, თასებს აჯაბუნებენ. მოხუცი სულ არ ჩქარობს. აიღებს ფულს, გახედავს ორივე მხრიდან, ფრთხილად ჩაიდებს ჩანთაში; მერე ჩაყირავდება გოდორში, ორივე მუჭით ამოიღებს ატმებს, ჩააწყობს თასში და იძახის:

— ვისია!

პატრონი ართმევს, მაგრამ იმ წუთშივე კი არ მიდის; ყველა ატამს სათითაოდ სინჯავს, უთუოდ ან ეცოტავება, ან რომელიმეს გამოცვლას სთხოვს; აყვირდება, აღარავის აცდის, იდაყვებს იქნევს...

ჰასანმა ხან წინიდან მოურბინა ორთვალას, ხან უკანიდან. ისიც ყვირის:—ა, ყონაღ! ჰაი, ძია!—მაგრამ სხვები უფრო მეტად ყვირიან, სხვები უფრო ღონივრად მიიწევენ. პატარა ჰასანს ჩილიკასავით ისვრიან უკან. ძლივს მიაღწია ორთვალამდე. ცალი ხელით ჭალს ჩაეჭიდა, ცალით თასს ეწევა მაღლა. მაგრამ მოხუცი წელში გაიმართა და ათივე თითი ჰაერში გაფარჩხა.

— მორჩა! გათავდა!

— რას ამბობ! როგორ შეიძლება!

— მორჩა! გათავდა!

— იქნება, ცოტა მაინც იქნება!

— აღარ არის, მორჩა.

ვისაც არ სჯერა ორთვალაზე ადის და გოდორში იყურება.—აი! აი! აი!—სინანულით აქნევენ თავებს. ხმაურით მიდიან თავთავიანთ სახლებისაკენ. მხოლოდ ჰასანი არ იცვლის ფეხს. როგორ დაიჯეროს რომ ერთი მაინც არ შეხედა.

— ა, ყონაღ!

მოხუცმა მხოლოდ ახლა შენიშნა, მოეწონა ალბათ ყმაწვილი! ტომრის სწორგება თავი ანება, ჩაცუქცდა, თვალებში ჩახედა.

— რა გინდა, პატარავ!

ჰასანი ხმას არ იღებს. მუდარით შეჰყურებს, ცარიელ თასს აჩვენებს.

— ატმი გინდა?

ჰასანი თავს უქნევს.

— ვაიმე, ვაიმე,—ამბობს მოხუცი,— რომ აღარ დამრჩა, შვილო,—ხან აბგაში ჰყოფს ხელს, ხან ჯიბეში.—რომ აღარ დამრჩა...

შეწუხებული სახით ჩამოდის ძირს. ჰასანს მხარზე ხელს ხვევს.

— წამოხვალ ხაშში? იქ ბევრი, ძალიან ბევრი ატამია.

ჰასანი გაოცებით შეჰყურებს. რას ეუბნება ეს მოხუცი! რატომ უნდა წავიდეს ჰასანი ხაშში? ამ ერთი თასი ატმის საყიდლად? ამის გულისთვის იქ როგორ წამოვა! არა, შეიძლება ჰასანი წამოვიდეს, მაგრამ დედა არ გამოუშვებს. დედას თვითონ მოელაპარაკება?! მაშინ, მაშინ... წამოვა, რატომაც არ წამოვა!

... და სულ რაღაც ნახევარი საათის შემდეგ მოხუცი სვიმონის გვერდით მჯდარი ჰასანი არხეინად მიჯაჭყაყვებდა ხაშმისაკენ.

...რა ნახა ხაშში? ბევრი, ძალიან ბევრი რამ, მაგრამ ყველაზე უფრო საინტერესო—ხილის ბაღი: ატმები, მსხლები, ქლიავები, ვაშლები, ლეღვები... სად ჩამოთვლის ყველას. ხან ერთთან მიირბენდა გახარებული ჰასანი, ხან მეორესთან; ხან ერთს გაკბეჩავდა, ხან მეორეს... უხაროდა სვიმონსაც, აღარ ეშმაკობდა სტუმარი. მესამე დღეს ძლივს გადაწყვიტა მუღანლოში გაბრუნება ჰასანმა.

წასვლის წინ მოხუცმა ხელი ჩაჰკიდა ჰასანს და ბაღის ბოლოში ჩაიყვანა, აქ კარგა მოზრდილი სანამყენე ნაკვეთი ჰქონდა. ზოგი ახალი ნამყენი იყო, ზოგი წინა წლის.

— აი, ეს იმ ატმისაა, შენ რომ ძალიან მოგწონს, ლოყაწითელი, ყვითელგულა,—დაიწყო მოხუცმა,—ესეც, აი ეს მესამეც. ეს მსხალია, გოგრა მსხალი, ეს ვაშლი, ესეც ვაშლი... აჰა, დანა, დანიშნე! მოიცა. აი, ასე აიცალე ქერქი. გაზაფხულზე წაიღე, შენები იყოს!

ჰასანს სევდიანად გაეღიმა.

— მერე სად დავრგა?!

— თქვენი სახლის წინ, პური რომ გითეასიათ, იქ.

— ეხ,—ამოიოხრა ჰასანმა. — რამდენჯერ დავრგეთ, მაგრამ არც ერთხელ არ იხარა.

— ახლა იხარებს. თქვენს სოფელშიც ხომ შემოვიდა სამგორის არხის წყალი! მორწყავთ და იხარებს.

ჰასანს თვალები გაუბრწყინდა. რაღაცის წამოძახება დააპირა, მაგრამ ენა ვერ დასძრა. ხელები გაშალა, მუხუცს მოეხვია და პირამდე რომ ვერ მისწვდა, მკერდის ქვემოთ აკოცა.

... მას შემდეგ ყოველდღე არხზე დარბის. ხან ბანაობს, ხან ნაპირზე ზის და მეგობარივით ელაპარაკება ივრის წყალს. ხანაც ხაშში გაახსენდება: არ უნდა ცხენზე შეჯდომა, არც კონფეტები უნდა, არც ახალი ხალათი—ხაშში წაიყვანეთ. რაღა მოხუცი სვიმონი აწვალოს თავისი ხეხილების მოვლაზე. ჰასანი მოუვლის, მორწყავს, შემოუთხნის!

აუსრულეთ ეს პატარა სათხოვარი ჰასანს!

★

«ჩვენ გვინდა ყოველმხრივ განვითარებული ადამიანი, რომ მას შეეძლოს კარგად რბენა, ცურვა, სწრაფად და ლამაზად სიარული, რომ მისი ყველა ორგანო იყოს წესრიგზე,—ერთი სიტყვით, რომ იგი იყოს ნორმალური, ჯანსაღი ადამიანი, ვარგისი შრომისა და თავდაცვისათვის, რომ ყველა ფიზიკური თვისების პარალელურად სწორად ვითარდებოდეს მისი გონებრივი თვისებებიც».

მ. ი. კალინინი

★

სილამაზისა და ძლიერების დღესასწაული

ფიზკულტურა და სპორტი ახალგაზრდობის საყვარელი საქმიანობაა. იგი აკაჟებს სხეულს, ხდის მას ძლიერს, გამძლეს, მოქნილს, ყოველმხრივ განვითარებულს. ჩვენს ქვეყანაში ნორჩი სპორტსმენებისათვის ყოველთვის ღიაა საუკეთესოდ მოწყობილი სპორტული მოედნების, სტადიონების, საცურაო აუზების კარი, სადაც ისინი გამოცდილი მწვრთნელების ხელმძღვანელობით ეუფლებიან სპორტის სხვადასხვა სახეობას, იკაფავენ გზას სპორტული დაოსტატებისაკენ. საქართველოს მოსწავლეთა ტრადიციული დღესასწაული—სპარტაკიადა ყოველწლიურად ტარდება. მასში ათასობით ბავშვი მონაწილეობს.

თბილისის კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონზე ამასწინათ საზეიმო ვითარებაში გაიხსნა საქართველოს მოსწავლეთა მე-5 რესპუბლიკური სპარტაკიადა. მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა და სწავლასა და სპორტში წარმატებები უსურვა საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა ვ. კუპრაძემ. ნაირფერ მაისურებში გამოწყობილმა გოგონებისა და ჭაბუკების კოლონამ, რომელსაც წინ მიუძღოდა მედროშეთა გუნდი, მწყობრი ნაბიჯით ჩაუარა ხალხით სავსე ტრიბუნებს.

მე-5 სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები მოეწყო თბილისში, სუხუმსა და ბათუმში.

მრავალი მაყურებელი მიიზიდა ცურვაში ასპარეზობამ. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 150-მა ნორჩმა სპორტსმენმა თბილისისა და ქუთაისის ოლქიდან, აფხაზეთიდან, აჭარიდან, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქიდან. სამი დღის განმავლობაში საცურაო ბილიკებზე საინტერესო ბრძოლები მიმდინარეობდა. გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს თბილისის ოლქის ნორჩმა მოცურავეებმა. შეჯიბრებაში დამყარებულ იქნა 3 ახალი რესპუბლიკური რეკორდი.

სუხუმში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ფრენბურთელები და კალათბურთელები. აქ კარგი მომზადება გამოავლინეს და პირველობა მოიპოვეს აფხაზეთის ფრენბურთელმა გოგონებმა და ჭაბუკებმა.

კალათბურთელთა გუნდებს შორის, როგორც ჭაბუკებში, ისე გოგონებში, ყველას აჯობეს თბილისის ოლქის გუნდებმა. ბათუმში მოეწყო შეჯიბრება მძლეოსნობასა და ჭადრაკში; აქაც პირველი ადგილი მოიპოვეს თბილისის ოლქის მოსწავლეებმა.



პირველ სურათზე თქვენ ხედავთ მეორეთანრიგოსან ტანმოვარჯიშეთა შორის გამარჯვებულ თეიმურაზ ასათიანს. იგი ოსტატურად დაუფლებია ტანვარჯიშულ იარაღებს... რგოლებს, ორძელს ღერძს, შესანიშნავად ასრულებს ხტომებსა და თავისუფალ ვარჯიშს. იგი სისტემატურად და მონდომებით მეცადინეობდა სკოლაში ჩამოყალიბებულ ტანვარჯიშულ სექციაში, ამიტომ იყო, რომ თეიმურაზმა ყველას აჯობა სპარტაკიადაში.

თბილისის ქალთა 34-ე საშუალო სკოლის მოსწავლე ლეიზა კაპანაძემ სპარტაკიადაში თავი გამოიჩინა მხატვრული ტანვარჯიშის კარგი ცოდნით. მე-2 სურათზე იგი ასრულებს ვარჯიშს მანდილით.

ქუთაისის მხატვრული ტანვარჯიშის ნორჩმა შემსრულებლებმა მსაჯებისა და მაყურებლის კარგი შეფასება დაიმსახურეს. გოგონები განსაკუთრებით კარგად ვარჯიშობდნენ რგოლებით. მესამე სურათზე არიან ქუთაისელი გოგონები რგოლებით ვარჯიშის შესრულების დროს.

სპარტაკიადაში მაღალი სპორტული ოსტატობა გამოავლინეს თბილისელმა ტანმოვარჯიშე გოგონებმა. მეოთხე სურათზეა თბილისელი გოგონები სპარტაკიადის საზეიმო გახსნის მომენტში.

ტანვარჯიშული იარაღებიდან დვირზე ვარჯიში ერთერთი ურთულესია. იგი სპორტსმენებისაგან მოითხოვს შესრულების დიდ სიზუსტეს, განსაკუთრებულ მოქნილობას. მეხუთე სურათზე აღბეჭდილია ხარაგოულის საშუალო სკოლის მოსწავლე მავრა ლურსმანიშვილი, რომელმაც დვირზე ვარჯიშში კარგი მომზადება გამოავლინა.

ჩვენს რესპუბლიკაში ჩოგბურთის მრავალი ნორჩი ეუფლება. სკოლაში ჩამოყალიბებულ სექციებში დაოსტატდნენ და შემდეგ ჩვენი ქვეყნის უძლიერესი სპორტსმენები გახდნენ ვ. ურაევსკი, გ. კოკაია. სპორტის ეს სახეობა ახალგაზრდას აჩვევს სისწრაფეს, მოსაზრებულობას. მე-6 სურათზე არიან სპარტაკიადის მონაწილენი მარჯვნიდან მარცხნივ) სუხუმელი ანატოლ გაბელაია, თბილისელი ალექსანდრე ვერულავა და ქუთაისელი ცეზარ გიგინეიშვილი.

ცურვა სპორტის წარმტაცი სახეობაა, მისი ცოდნა ყოველი ადამიანისათვის ფრიად საჭირო და გამოსადეგია. ამიტომ ნორჩი სპორტის მოყვარულნი გატაცებით ეუფლებიან მას; მეშვიდე სურათზე ნაჩვენებია ნორჩ სპორტსმენთა ჯგუფი შეჯიბრების დაწყების წინ.



ბანაკი მთის კალთებზე

თენდება. ჰაერს აპობს პიონერული საყვირის ხმა. ილვიძებს მიძინებული ბუნება, ჭიკჭიკობენ ფრინველები; აბმაურდა მედსაშრომის მეშველთა პროფკავშირის ახალდაბის პიონერთა ბანაკი.

პიონერები გამამზეურებულ ეარჯვეს ასრულებენ. დილის ტუალეტი დამთავრდა. საყვირი პიონერებს ხაზისაკენ მოუწოდებს. პიონერები რაზმებად დგებიან ხაზზე. დღის რეჟიმის შესასრულებლად პიონერთა მზადყოფნა მოწმდება.

პიონერიულ ტრიბუნაზეა ბანაკის უფროსი პიონერხელმძღვანელი.

— ბანაკო, სმენ! სწორრა! სალამი!

— ამხანაგო ბანაკის უფროსო,—პატკოპს იგი,— ბანაკი მხად არის შესასრულოს დღის რეჟიმი!

— პიონერებო, ლენინ-სტალინის საქმისათვის საბრძოლველად იყავით მხად!

— მზად ვართ!

ისმის საქართველოს სსრ ჰიმნის წარმტაცი მელოდია და წითელი ალამი ანძაზე ნელ-ნელა მაღლა მიცურავს.

ალამი აღმართულია. დილის საუზმე დამთავრდა. იწყება ბანაკის მრავალფეროვანი ცხოვრება.—დღეს გასეირნებას მოვაწყობთ.—აფრთხილებს პიონერებს პედაგოგი. პიონერები სამზადისს შეუდგნენ. ცოტა ხნის შემდეგ ისინი დანიშნულ ადგილისაკენ მიეშურებიან.

აი, მიადგნენ მტკვარს. ყიჟინით შეეფინენ დაკიდებულ ბაზრის ხიდს და მალე მტკვრის მეორე ნაპირზე იყვნენ. ყაყაჩოები დაკრიფეს. ნორჩი ნატურალისტები ოფლიანმგალობენ, ანსორ პაიკაძე, მურმან შეეგრდნაძე ყვავილებით მოფენილ მინდორსე მეწერეს იქერდნენ, სამყურნალო მცენარეებს აგროვებდნენ.

ნანნული უგრეხელიძეს, გია ბერიძეს და ნუნუ ჩიტლაშვილმა მტკვარში ანკესები გადაისროლეს, თევზები დაიჭირეს.

პიონერებმა ცოტა შეისვენეს, წყაროს წყალს დაეწაფნენ, შემდეგ ისევ საქმიანობას შეუდგნენ. მზე გადახარა, სადილის დროშაც მოადწია. ექსკურსანტები ნასიამოვნები დაბრუნდნენ ბანაკში.

პიონერებს ნოყიერი სადილით უმასპინძლდებიან, შემდეგ კი ბანაკში სიმუმე მკვიდრდება—წყნარი საათია.

ისევ ცოცხლდება ბანაკი.

რაზმის ხელმძღვანელთან პიონერი ვიქტორ ფურცელაძე გამოცხადდა, იგი დარცხვენილია, ცრემლი მოსდგომია თვალზე:

— პატივცემულო მასწავლებელო, მე აქ გაჩერება არ შეშინაა, წინ უნდა წავიდე!

ხელმძღვანელმა დაღვრემილობის მიზეზი გამოჰკითხა. გამოირკვა, რომ ვიქტორს ბანაკად პირველ წელს უსდგეს ყოფნა. სან დღეში ვერ შეეჩვია ახალ მგგობრებს; მშობლები მოენატრა ყმაწვილს! ბანაკის უფროსმა აუხსნა, რომ ეს ამბავი დროებითია, ის მალე შეეჩვევა ტოლ-ამხანაგებს.

რაზმში კლასგარეშე მეცადინეობა ტარდებოდა. მასწავლებელი ბაქშეებს საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის ეგზიტებზე მოუთხრობდა. საინტერესო იყო საუბარი—ვიქტორი და მისი ამხანაგები დიდად ქმაყოფილნი დარჩნენ მოსმენილითან.

მბატკეუული კითხვა დაიწყო. პიონერები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. ვიქტორიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა; ცოტა ხნის შემდეგ გაწყობილება სრულიად შეეცვალა და ბანაკის პიონერთა ყივილ-ხივილის თავისი ხმაც შეეერთა.

პიონერხელმძღვანელება საუბარი ჩაატარა გიორგი საკაძეზე. რობერტ ფირცხალაშვილს ამ ღამეს გვიან დაეძინა, გიორგი საკაძის შესახებ ოცნებობდა, ტაშისკარზე და მის წარსულზე ფიქრობდა. დილით ადრე ადგა რობერტი, ბანაკის ბიბლიოთეკიდან ანტონ ფურცელაძის „დიდი მოერავი“ გამოიტანა, წაიკითხა და თავიანი შთაბეჭდილება ამხანაგებს გაუზიარა. რობერტს უყვარს წიგნების კითხვა. ის თავისუფალ დროს საკლასო წიგნებსაც კითხულობს ხოლმე—ახალი სასწავლო წელისათვის მზადება.

ბანაკის ცოცხალ კუთხეში პირველი რაზმის პიონერებს მოუფრიალთ თავი. მათ დიდ ნაწილს ბუნების წიაღი იტაცებს. რაზმის ხელმძღვანელი ლამარა გელოვანი ნორჩ ნატურალისტებს ქვეწარმავლების წარმოშობის შესახებ მოუთხრობს.

მრავალი ნიჭიერი ბავშვია ბანაკში. აქ კიდევ უფრო იფურჩქნება მათი ნიჭი და უნარი. აგერ, პიონერი ზურიკო ‘რცხილაძე, ზრდილობიანი და ᲙᲐᲠᲒᲘᲐᲜᲘ ბიჭუნა, თავის ამხანაგებთან ერთად, ბანაკში მისსავე დაწერილ პიესას დგამს. ერთ კვირაში უნდა მოიმზადოს პიესა.

გულწრფელი ლექსების ავტორია პიონერი ლაურა ძაძამიძე. სამშობლოო, სტალინი—ასეთია მისი ლექსების თემა.

ბანაკის თითოეული პიონერს ძლიერ იზიდავს ფიზკულტურა. ზოგი ფეხბურთს თამაშობს, ზოგი—ტანმოვარჯიშეა, ზოგს—ᲭᲐᲓᲠᲐᲯᲘ ᲘᲢᲐᲪᲔᲑᲡ...

ზურაბ სხირტლაძე, ბორის პოპოვი სუფევთსო ფეხბურთელებად ითვლებიან, გივი ქორიაშვილს და გივი ობოლაძეს ბილიარდში ვერავინ სჯობნის. სპორტაკო ტურნირში ახლახან გამარჯვებული რობერტ ამირბაშვილი და უშანგი ჩიკვაიძე მომავალი შეხვედრებისათვის ემზადებიან.

პიონერები არც ერთ წუთს არ ჩაკარგავენ ენაყოფოდ. სწავლობენ, ერთობიან, სხეულს ოჯანსაღებენ.

ასეა აქ ყოველდღე.

ლამაზია პიონერული ბანაკი; მას ნაძვნარით დაფარული მთები აკრავს. ჰაერში ყვავილების სურნელი ტრიალებს. ამ თვალწარმტაცი ბუნების წიაღში ბედნიერი ბავშვები მღერიან, ცეკვავენ, მხიარულობენ.

დღეს არაჩვეულებრივი გამოცოცხლებაა. ᲑᲐᲜᲐᲙᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲠᲗᲔᲚᲘ ᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝᲑᲐ ბრიგადა ესტუმრა. პიონერები მთელ ᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝᲑᲐ ᲚᲔᲚᲘᲗ შეხვდნენ, შემდეგ კონცერტშიც მიიღეს მონაწილეობა. ეხმაურდა ბაიანი, დატრიალდნენ პიონერები. მოცეკვავენი ერთმანეთს ეჯიბრებიან; მათ არც მომღერლები ჩამორჩნენ. აი ცქრიალა გოგონა ცაცა თეგდორაძე, თავის სიმღერებში მან გულწრფელობა ჩაქსოვა. ბავშვები მას მეუხარე ტაშით აჯილდოებენ.

შემდეგ ისევ ცეკვა, სიმღერა...

ამ ნანატრი დღისათვის სამზადისს აღრევე შეუდგნენ. რაზმები ტყიდან ბრეწდებიან და ფიჩხი მოაქვთ—მოიდნის შუაგულში ჩყრიან. ტყეში სამჯერ მოეხდათ წასვლა. ნაცრად ადგილებში ფიჩხი გამოილია. მთის მწვერვალზე ძნელია ასვლა. მთაგორიან ადგილებში სიარულს დაჩვეულმა პიონერმა ოთარ კუპატაძემ ყველას გაუსწრო. „დაპყრობილ მწვერვალზე“ წითელი ყელსახვევი აფრიალეს. პიონერებმა დაგვიდა შეასრულეს—კოცონისათვის საკმარისი ფიჩხი შეგროვეს.

დღის რეჟიმი ამოწურულია. პიონერები ხახზე იკრიბებიან. მზე დასავლეთისაკენ გადაიხარა და მალე მთებს ამოეფარა. ცა ვარსკვლავებით მოიქედა. კოცონის ანთების დროა. ორასამდე წყვილი თვალი მისჩერებია მოიდნის შუაგულში დაყრილ ფიჩხს. ბანაკის სხვადასხვა კუთხიდან გამორბიან ფიჩკელტერული ფორმაში ჩაცმული პიონერები, ჩირაღდნებით ხელში; ასრულებენ ტანვარჯიშულ ილეთებს, შემდეგ ჩირაღდნებით ანთებენ კოცონს.

ნორჩი დეკლამატორები კითხულობენ ლექსებს, მღერიან ანაღვლაზრდა მომღერლები. ბრიალებს პიონერული კოცონი. პიონერხელმძღვანელები ბავშვებს სამამულო ომის გმირებზე, ჩვენს მძლავრ სამშობლოზე, კომუნიზმის დიად მშენებლობებზე მოუთხრობენ.

Ო. ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ

ნორჩ ავტორთა შემოქმედება

სტალინს

სადაც შენს სურათს ვიხილავ,
მედამ ზედ მრჩება თვალი,
ჩვენო მამავ და ბელადო,
ესაყვარლესო სტალინ!

შენით ამაყობს სამშობლო,
შენ შემოგბარის ყველა.
მედამ გიმღერებთ სიმღერას,
როგორც მამას და ბელადს.

შენ გაგვინათე წარსული
და მომავალი ჩვენი,
მშვიდობიანმა ცხოვრებამ
შესცვალა მწარე დღენი.

დიდხანს იცოცხლე, ბელადო,
მშვიდობა იყოს ყველგან,
მამავ და მასწავლებელო,
დიდი მადლობა ჩვენგან!

ელგუჯა ლეგანიძე
მეტეხნის 8 წლ. სკოლის მოსწავლე

„მ ვ ი დ ო ბ ა"
ნორჩ მოქანდაკე ჯემალ ჯაფარიძის
ნამუშევარი

ქართველი პიონერის წერილი კორეელ ბიუნას

იქნება მამა აღარ ყყავს—
მტერთან ბრძოლაში დაეცა,
რომ შენი წმინდა სამშობლო
უწმინდურთაგან დაეცვა.

იქნებ არც დედას დასცალდა
მამაზედ შავი ჩაეცვა,
ისიც მტრის ტყვიამ განგმირა,
ისიც ბრძოლაში დაეცა.

მე მამაცა მყავს, დედილოც,
შეგობრებიც და ბიძეებიც;
ჩემი ბაშვობა ტკბილია—
სტალინის მზის ქვეშ ვიზრდები...

თუ მტერმა მამა მოგიკლა,
აღარ ყყავს დედა-მშობელი,
და ობლად დახვალ პატარა—
თავლზე ცრემლშეუმრობელი,

მე გიმეგობრებ, შეგფიცავ,
შენი ძმობილი ვიქნები,
და შეგაერთოთ მარადკამს
ჩვენი ძალა და ფიქრები.

არა, არა ხარ ობოლი,
მარტოხელა და ეული,
ჩემი თბილისი გიშვილებს,
თუ კი წაგართვეს სეული.

ჩაგრულთა მამა გიშვილებს,
კ.ცი მზესავით ნათელი.
მშვიდობას ერთად დავიცავთ
კორეელი და ქართველი.

გივი ჟულიაშვილი

ალბერტ მალი

ჯუნგლი ნამუადევს*

მხატვარი პ. გიგოლაშვილი

ცამეტი წლის ჩარლზ ფალნმა ყუმბარა ხელში შეათამაშა და შუქნიშნის შეცვლას მოუცადა. როცა მერვე ავენიუს ავტობუსი დაიძრა, თოვლის გროვას ამოეფარა და ოცი იარდის მანძილიდან მიმაკვდინებელი მურგი მაღლა ასტყორცნა. ყუმბარა ზედ ავტობუსის თავზე გასცდა. ჩარლიმ კმაყოფილებით გაიღიმა და მეორე ყუმბარისათვის მოაროვა თოვლი.

ტანმორჩილი, მაგრამ მოქნილი, ცოტა ფერმკრთალი ბიჭი დროის მოხაკლავად ნელი ამყვა ბაღსონ-სტრიტს, გადაიარა მეთერთმეტე სტრიტი, გრინფჯის ქუჩაზე ჩაუხვია და კინოს შესახედლელთან ხუთაუბის დახთავალიერებლად გაჩერდა, მაგრამ თავს მებილეთე წამოადგა და დაუკვირა:

— აბა, მოუსვი აქედან!

ჩარლი უსაფლისოდ გაბრუნდა მეშვიდე ავენიუზე და შინისკენ წავიდა. კოლერსსა და მორტონს შუა ტკბილეულის ინ მაღაზიაში შევიდა, სადაც ზოგჯერ კინფეტებს ყიდულობდა. მედუქნე დედაკაცი ხვნეშით მოადგა დახლს.

— რა ღირს კარამელი?—შეეკითხა ჩარლი.

— ორი ცალი ერთი პენი.

— ესა?

— ოთხი ერთი პენი.

— შაქარყინული?

— თითო პენი. რომელი გინდა?!

— ხახლში გავიქცევი და ფულს მოვიტან, ხუთ წუთში აქ გავჩნდები,—უთხრა ჩარლიმ და მაუსტონის ქუჩას ჩამიმყვა. ჯზაში ტკბილეულზე ოცნებობდა. მან იცოდა, რომ ერთი კარამელი ნახევარ საათს გასძლებს, მხოლოდ მოიმძინებაა საჭირო, კარამელი არ უნდა დაღეჭო, მარტო უნდა წუწნო, ტკბილი გემოც მეტხანს დაგრჩება პირში და არც ცხელი გეტკინება. ჩარლიმ ხელი ხელთათმანი გაიძარა და ხელები დაიორთქლა. რა კარგი იქნებოდა, რომ კვირადღე არ ყოფილიყო, კვრის ფაბრიკები არ მუშაობდნენ და იქაურობა სასაფლაოს ჰგავდა.

ამ დროს სამხრეთისაკენ მიმავალი ავტობუსი გამოჩნდა. მის დასაწევად ვარიკის ქუჩა გადმოირბინეს ჩარლის მეზობლებმა—მოხუცმა შიმიმ და მისმა ცოლმა. ავტობუსი დადგა. მოხუცები აჩქარდნენ და როცა მისტერ შიმიმ ფეიბიდან ხელი ამოიღო, ორმოცდაათცენტიანი ამოუვარდა. მოხუცმა სწრაფად წაატანა ხელი დასაპერად, მაგრამ ფული გაგორდა და მეტროს სავენტილაციო ორმოში ჩავარდა. მოხუცი ბუზღუნით ავიდა ავტობუსში, კარს ხელი შეაგება და ჩარლის, რომელმაც ორმოსთან მიირბინა, დაუძახა, თუ ფულს იპოვნი, აფიცენციოს მოგცემო.

— მოგძებნი,—უთხრა ჩარლიმ.

ავტობუსი დაიძრა და ჩარლიც გაიქცა. ფულის ამოსალებად ხალები რეზინი და კანაფი სჭირდებოდა. 50

---

* ერთი შეხედვით სათაური უცნაური და თითქოს გაუგებარიცაა. ნამდვილად კი იგი საოცარი სიცხადით გამოხატავს მთთხრობის სათქმელს. იგი გვეუბნება: კაპიტალისტური სამყარო ჟუარმახარი ჯუნგლია, სადაც ბრძოლაა არსებობისთვის, სადაც ადამიანი ადამიანის მიმართ მხეცია.

ცენტი! რამდენჯერ ამოფლია ჩარლის ფული ასეთი ორმოციდან—ერთხელ ათეცტიანიც კი იპოვნა, მაგრამ ამდენი ფული ერთად ჯერ არ ენახა. რა დიდი ამბავი უნდოდა, რომ მოხუცი მეზობლისათვის ეთქვა, ფული ვერ ვიპოვნეო.

ჩარლი სირბილით მივიდა სახლამდე, მეტისმეტად აღელვებული იყო და აღარ მოაგონდა, რომ კიბეზე ერთი საფეხური ჩაბტაფარი იყო, მარჯვენა ფეხი შიგ ჩაუვარდა და პირქვე გაიშხლართა. საშინლად ეტკინა ფეხი და აცრემლებულმა კოჭლობით აირბინა კიბე.

დედამისი ფანჯარასთან იჯდა და კერსავდა.

— დედი, მომე რა სამი პენი!—ჩარლის თხოვნა ბრძანებას უფრო ჰგავდა. მან კარგად იცოდა, რომ დედამისის დაშინება ადვილი იყო.

— ჩუმად, თუ ღმერთი გწყრა, მამაშენს ძინავს, — უთხრა დედამ,—რას შემოვარდი სველი კალოშებით და იატაკი გამითხუპენ!

— ახლავე მოვდივარ, დედი, ჩქარა მომე ფული!

— თავი დამანებე, საშმაბათს არ მოგეცი კოფფეტებისათვის?!

— უნდა მომეცე, დედი. იცი რა, ათეცტიანი ჩავარდა მეტრის ორმოში, ცოტა სალეი რეზინი რომ მქონდეს, ამოვიღებდი.

— აა, თორმე რა ყოფილა! მამალავდი?—ალერსიანად გაუცინა დედამ,—თუ გინდა ერთი პენს მოგცემ, მაგრამ იცოდე, დამბრუნებ.

— ერთი კი არა! ერთი პენი რას მიზაბს! სამი მინდა, დედაჩემო! ერთი პენით რა რეზინი უნდა მომივიღეს!



დედამ ჩარლის ორი პენი გაუწოდა და დაღვრემილმა ბავშვმაც გამოართვა.

მისის ფალონი სამზარეულოში გავიდა, რაც ფანჯრენდა, ხელში თავისი ხერხი ფულის ქნაბა ეჭირა.

— ხედავ, მხოლოდ ორი პენი მაქვს, სანთლის ფულს გარდა,—უთხრა ბავშვს.

— ეგ მომე და...—ჩარლის ცხვირს დაუცემინა,—ადგა ვახტრადგებ. ღმერთმანი მოვიდგან.

— ვერა, ვერა, ვერ ვენდობი,—დედამ ჩარლის ორი პენი გაუწოდა და დამფერერელი ბავშვმაც გამოართვა. ამით საქმე როელდებოდა, მაგრამ და გაეწყობოდა — ჩარლიმ მშვენივრად იცოდა, რომ დედამისი ყველაფერს დათმობდა, სანთლის ფულს კი—არა.

— ხომ იცი, უნდა დამბრუნო.

— ჰო, ჰო!—გამოსძახა ჩარლიმ უკვე სამზარეულოდან, სადაც კანაფს ეძებდა.

— ეჰ, რას იზამ,—აწუწუნდა დედამისი მრავალტანჯული ადამიანის კოლთიო,—წინათ ჩემთვის, ან მამაშენისთვის ერთი პენი რომ გეთხოვა, ხუთ ცენტს გაძლევდით, ხუთი ცენტის მაგიერად—ათს.

ჩარლიმ მსხვილი კანაფის გორგალი ნახა, ათი ფუტის სიგრძეზე გადაპრა და სწრაფად ჩიატენა ჯიბეში.

— ის საცოდავი ახლა ხეიბარია, — მოაყვა ისევ დედამისი, — ძლიერ დაფფრთხავს. ღამით მუშაობამ ხომ ხულ მოკაწია, მაგრამ მეტი რა ექნა!

— კარგი, კარგი, დედი. წავედი! — ჩარლი პასუხს არ დალოდებია ისე გავარდა გარეთ, „დედი უცნაური ხალხია ეს დედები,—გაიფიქრა გულში,—მამები კიდევ მთლად უარესი. ახა, ერთხელ მაინც თუ გახსოვს მამაჩემი, რომ ლუდი არ დალიოს და მე შოკოლადი მიყიდოს“.

ბავშვმა კარმინ-სტრატზე საკონდიტერიში შეიარბინა, ორი კოლოფი სალეი რეზინი იყიდა და პირში ჩაიყარა—რეზინი ისე უნდა დასველებულიყო და დარბილებულიყო, რომ ფული ადვილად მიმკერდა; მერე კისრისტეხით გადაირბინა ვარიკის ქუჩა, თან მარჯვენა ყბას ენერგიულად ეძრეოდა, მეორე მხარეს კბილებს უფრთხილდებოდა; როგორც იქნა, მიაღწია ავტობუსების გაჩერებას და ცივ რკინებზე ბაგეს ბაგეს ორმოს ფსკერი ნაგავს, თოვლსა და წუმპეს დაეფარა. ჩარლიმ ფულის ძებნა დაიწყო, რკინებზე მმიდედ დაბოხავდა, საკონდიტერის ვიტრინა თვალწინ უკამაშმედდა და მოლოდინისაგან გული ძლიერად უძაერდა.

ათმა წუთმა უშედეგოდ გაიარა. ჩარლი შეჩერდა, ხელები დაიორთქლა და ისევ საქმეს მიუბრუნდა. ფულს როგორც იქნა მოაგნო. ის ნახეკერდა წუმპეში ეგდა—

ეროვნული ბიბლიოთეკა

—ეჰეეე შენ, მოგზედან?!

მეი უარესი, ამოდება უფრო ძნელდებოდა. ნერვებდაძაბულმა ჩარლიმ კანაფი ამოიღო, მისი ბოლო რამდენჯერმე განაკაკვა და ნასკვს სქლად შემოახვია საღეჭი რეზინი. კანაფი რომ ძირს არ ჩავარდნილა, მეორე ბოლოზე მაჯის გასაყრელი ყუდელი გაუკეთა, მერე რეზინი პირში ჩაიდო, კარგად დაასველა და ფრთხილად ჩაუშვა ორმოში.

მუშობაში გართულმა ჩარლიმ ვერ შენიშნა, რომ თავს დაბალი ცუდად ჩაცმული კაცი წამოადგა. უცნობი ორმოცდახუთი წლის იქნებოდა, მიწისფერი სახე ქარისაგან გაწითლებოდა. ჩარლის ჯერ არც კი დაენახა ის, როცა მისი მოსვლა გიგო—უცნობი მძიმედ სუნთქავდა, თითქოს დიდი ტვირთი ჰკიდიაო. ბავშვმა თვალი შეავლო მას და ისევ თავის კანაფს მიუბრუნდა. ახლა იყო რაც იყო გასაკეთებელი. რეზინი ამდენად მძიმე არ იყო, რომ კანაფი ფსკერამდე დაეტეხა, ამიტომ ჩარლის ძალიან უნდა დაერტყა ის ფულისსთვის. რამდენი [illegible]ცდა ჰაეროლიდი ამოდ!

უცნობი ერთხანს უსმოდ უყურებდა, მერე ჩარლის გვერდით მუხლებზე დაეშვა და ხრინწიანი ხმით წამოიყვირა:—ოჰოო, ორმოდააააი ცენტი?! — დაინახა: როგორ ირხეოდა კანაფი და ბავშვს შემპარავად ჩაეთხა:—ეგრე ხომ გაგიბერდება ამოლება?

ჩარლის არაფერი უთქვამს. უცნობმა კიდევ ჩაიხედა ქვეყნიო.

— რა თქმა უნდა, რეზინი გამაგრდება, ამ ყინვაში,— წამოიწეწო მან ისევ,—არა მგონია, რამე გამოგვიდეს, ბიუეფი. თან ღამდება კიდეც. ნამდვილი იარაღები თუ არ გეკეთა, მაგ ხერხით როგორს ამოიღებ!

ჩარლის არც შეუხედავს უცნობისაკენს, ისე უთხრა ხმამაღლა:—შენ ვინ გეკითხებაზ?!

უცნობი წამოდგა,სწრაფად მიიხედ-მოიხედა, ახლომახლო არავინ ჩანდა, რამდენიმე ნაბიჯი უკან გადადგა და პალტო გაიხსნა. პალტოს სარჩულზე ტყვიის თასმებით მომაგრებული ჰქონდა ოთხი წერილად გათლილი ჯოხი. თითოეული ღერი სამი ფუტის სიგრძისა იქნებოდა, ერთ ბოლოზე ჩაერქვაეტული, ძაბრის მსგავსი რეზინი ჰქონდა წამოცმული, რომლითაც მათი შეერთება შეიძლებოდა. უცნობმა ნაცადი ხელით შეაერთა ღეროები. სულ ბოლო ღერს თავზე რეზინის პატარა შემშვიდი რგოლი ჰქონდა.

უცნობი ორმოსთან მიეიდა, დაიჩოქა, თავისი გრძელი ჯოხი რკინებშეა ჩაჰყო და დაბლა ჩაუშვა.

— აი როგორ იღება ორმოდან ფუღლს პროფესიონალი,—ვითომ გულგრილი კილოთი თქვა ხმ, მაგრამ ბავშვს თვალი აარიდა.—ეს ერთ-ერთი საშუალებაა. მეორენაირად სოლიდოლეთ ილებენ. იმით სამაჯურის ამოღებაც კი შეიძლება, მაგრამ ფულის ამოსალებად ასეთი...

— რას შეგრეფი, რას, გაგიფდი?!—იკვირა გაცეცხლებულმა ჩარლიმ.

— უნდა გიჩვენო, როგორ უნდა ფულის ამოღება.

— მომშორდი აქედან, მომშორდი, გესმის!—ჩარლიმ უხეშად მოჭარა უცნობს სახელოში.

უცნობმა ბავშვს ხელი ჩარა და ხრინწიანი ხმით გაიცინა. ეტყობოდა, არ ხუმრობდა. — ხელ ერთი არ არის? შენ მაინც ვერ ამოიღებ, სხვას რით უნდა დაკუტოდეთ?!

— ჯანდაბას, თუ ვერ ამოვიღებ,—იყვირა ჩარლიმ —შენ რა გაწუხებს! ფული ჩემია. თუ შეიძლება, მიბრძანდით, მისტერ!

— რა გინდა, ხეთ ცენტს მოგცემ.

ჩარლიმ სწრაფად ამოსწია კანაფი ორმოდან და ჯოხები ჩაიჭირა, წამოიტა, უცნობს უკან დაუდგა და გამეტებით ჩაარტყა წიხლი გვერდში. გამწარებულმა უცნობმა დაიღრიალა და გვერდში ხელი იტაცა. ჩარლიმ გაიწმე გახტომა მოასწრო.

— დასწყევლის ღმერთის!—დაიკვნესა უცნობმა.—კიცერს მოგიგრეს, შე ძალლის ლეკვო, კინაღამ ჯოხი გამიგდებინე.

ისინი ერთხანს ჩუმად უცქერდნენ ერთმანეთს და არ იძრიდნენ. ოცდაათი წელიწადი იქნებოდა განსხვავება მათ შორის, მაგრამ ახლა საოცარი მსგავსება ეცემოდა თვალში ადამიანს. ორივე დაბალი ტანისა იყო, ბავშვი ბავშვის კვალლობაზე, კაცი — კაცის; ორივეს სახე შეშლოდა ბრაზით, ორივე გამწარებულიყო.

უცნობმა ისევ ჩაიჩოქა, ჩარლისთვის თვალი არ მოუცილებია, ისე ჩაუშვა ჯოხი ორმოში. ჩარლი ერთხანს შეყოვნდა, მერე ტრტოტარისკენ გაიქცა და თოვლის გროვასთან მიირბინა.

— აქ რომ მოხვიდე, კისერს მოგიგრეხე, იცოდე. მოუსვი აქედან. ხუთ ცენტსაც არ მოგცემ, ისე გამომიყვანე მოთმინებიდან,—მოუბრენდა უცნობი.

ჩარლიმ ნატეხ ყინულს წაავლო ხელი და მთელი ძალლონით ესროლი, მაგრამ აცდინა. უცნობს მაინც შეეშინდა და ფეხზე წამოხტა. ჩარლი თოვლის გროვას ამოეფარა; აკანკალებულმა მგერის თვალი მიაშტერა და თოვლი მოხვეტა.

— გვერდები აეკეკავა, არა?!—უცნობმა დაცარიელებულ, დაბინდულ ქუჩას გახედა და უცებაო ისევ ბავშვს მიუბრუნდა:—როგორა გგონია, მსიამოვნობს ესა, მსიამოვნობს, რომ ორმოცდაათი ცენტისათვის შენისთანა ლაწირაკს ვეჩხუბებიი?!—იმავე წუთს თოვლის გუნდა მუხლზე მოხვდა,სწორედ გაცვეთილ პალტოს ქვემოთ, ბიჭს მუშტი მოუღია და ბრაზისაგან ხმას აუმაღლა:—გვერდები ვეკეკავი, არა? ახლავე!—სულ მოითქვა,ჯოხი ხელიდან გაავდო და ჩარლისკენ წაიწია. იმავე წუთს უფლები გაყიფული თოვლი მოხვდა და სიმწარით და ბრაზით კინაღამ აგერდა.

— ეგეც შენ! მოგიდევ?! —იყვირა ბავშვმა. უცნობი გამოეკიდა, მაგრამ ჩარლი ბეგრად უფრო სწრაფი იყო და თოვლის გროვას ამოეფარა. უცნობი წუთით შეჩერდა—ბირი დაეღო და აკუნინებული გუნდზე ხელს იბერდა. მერე სიტყვის უთქმელად მიბრუნდა, ორმოსთან დაიკუნა და ჯოხი ისევ დაბლა ჩაუშვა.

ჩარლი გაცოფდა, უცნობს უკანდან მოუარა, გვერდით მოეკვეა და ყინულის ნატეხვრეკვები შიგ კისერში

— თუ ღმერთი გწამს, ყური დამიგდე ...

მოარტყა. უცნობს მთელი ტანი აუკანკალდა, მაგრამ არ განძრეულა, მხოლოდ ჯოხი ამოსწია, რომ გადაენცვლებინა. ჩარლი მაშინვე მისკენ გაიგერეანა. ის ლანძღვით წამოხტა. შეშინებულმა ჩარლიმ, გაქცევამ დაკპარა, მაგრამ უცნობმა ხელი სტაცა, შემოაბრუნა და ორივე ხელი დაუბერა.

ჯოხი მათ შუა რკინებზე ეგდო.

— ცხვირი უნდა ამოგიხაფოს კაცმა, შე სალახანა!—შეუნჯღრია უცნობმა ჩარლი,—მაგრამ ბავშვი ხარ და მგბრალები. ოღი რა ვქნათ, ეღი?

ჩარლიმ გაიბრძოლა, ხელიდან გაუხსტტა უცნობს, ფეიზე ფეი დაადგა და ისევ თავის საფარს მიაშურა. უცნობს ტკივილისაგან სახე დაეღიმეკ და უმწეოდ შეშყვირა:—ღმერთო, ღმერთო! ერთი_ამ მაწანწალა ძალლს უყურე!_რა დაგიშვებ_ბიეო? ხომ შემიძლო ცემით მომეკალი, მაგრამ ვიფიქრე, ვეტყვი...

სიტყვა არ დაესრულებინა უცნობს, რომ გუნდს მოხვდა გუნდი.

— მაშ ასე, არა? თუ ერთმანეთს არ დავაცადეთ, ორივე ცარიელი დავრჩებით. მაშ არც შენ დაკარც მე, არა? ხომ ხედავ, უკვე ღამდება. მოდი მოვრიგდეთ, გავიყოთო, კარგი? ოცდახუთი ცენტი—შენ...

— სულ! სულ! სულ ჩემია!—ჩარლის მთელი სხეული უკანკალებდა.

— ხომ ხედავ, რომ ვერ ამოიღებ თუ ნამდვილი იარაღები არ გეკმენა, ხომ ხედავ, ამ სიცივეში ვერას გახდები შენი რეზინით.—უკვე ეხვეწებოდა უცნობი.

— ჩემია! ჩემია!

— ღმერთო, ღმერთო! ვინ ამბობს რამეს, შენ იპოვნე, სანაგიერიდ მე ამოვიღებ და გავიყოთო.

— არ მინდა!

— თუ ღმერთი გწამს, ყური დამიგდე! მეც მომე ცოტა, ბიეო,—ჯაგრით და სირცხვილით_ უცნობს ხმა უწყდებოდა.—ეს არის და ეს ჩემი საკმე, სხვა სამუშაო მე არა მაქვს, გესმის თუ არა? მთელი დღეგანლილი ღლე ტყუილად დავეხეტებეთოდი, ვერაფერი ვიპოვნე, ვერაფერი. სულ ცოტა მაინც მომეცი, სულ ცოტა!

— არ მოგცემ!

სასოწარკვეთილ უცნობს ხელები აუკანკალდა.

— ოო, რა პატარა ხარ, რა პატარა. ათი წლით დიდი მაინც იყო, მაშინ გაიგებდი, ყველაფერს ეკატყოლი და გაიგებდი.

ჩარლი ტუნებმოკუმული უსმენდა. ყინვისაგან დალაკვეტეული სახე ბრაზით გაჰფითრებოდა.

— ათი წლით დიდი რომ ვიყო, ცხვირპირს დაგამტვრევდი!

უცნობი თითქოს რაღაც ტკივილმა წელში მოხარა, დაიკუზა, ჯოხი აიღო და ძლივს აითრია ფეხი. მიდიოდა და ტირიდა.

ჩარლი გამარჯვებას ზეიმობდა. მეორე ტანი უცახცახებდა და სახეგაქვავებულიკ_ უყურებდა უცნობის ზურგს.

დაღამდა.

თარგმნა ინგლისურიდან

ციცინო გამყრელიძემ



მოწინავე საბჭოთა მეცნიერების სასახლე*

მ. ლ. ეოვჩინკო
მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის ლენინის
ორდენოსანი უნივერსიტეტის პროფესორი.

რუსულ მეცნიერებას საუკუნეების განმავლობაში მოელი კაცობრიობის წინაშე მრავალჯერ უსახელებია თავი შესანიშნავი მიღწევებით. ისეთ დიდ მასწავლებელთა სახელები, როგორიც იყვნენ: ლომონოსოვი, ლობაჩევსკი, მენდელეევი, პავლოვი და სხვები, რუსული მეცნიერების სიამაყეს წარმოადგენენ. მაგრამ წინანდელ პირობებში მეცნიერება არ შეიძლებოდა ყოფილიყო მოლიანად ხალხის სამსახურში.

ლენინ-სტალინის პარტიის, საბჭოთა ხელისუფლების და პირადად ამხანაგ სტალინის მუდმივი მზრუნველობით წლითიწლობით იზრდება და მტკიცდება საბჭოთა უმაღლესი სკოლა. მოლონ სამასი ათასზე მეტი ეპბუკი და ქალაქვნელი სწავლობს ჩვენი ქვეყნის ასობით უმაღლეს სასწავლებელში.

დღეს საბჭოთა კავშირში უფრო მეტი სტუდენტია, ვიდრე ევროპის და აზიის ყველა ბურჟუაზიულ ქვეყანაში ერთად. მარტო მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში 260 ათას სტუდენტზე მეტი სწავლობს, რაც ორნახევარჯერ აღემატება მთელი რევოლუციამდელი რუსეთის სტუდენტების რიცხვს.

ახლა ჩვენს ქეყანაში ოცდაცამეტი უნივერსიტეტია.

ხალხში განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც 1755 წელს დაარსა დიდმა რუსმა მეცნიერმა და პატრიოტმა მ. ვ. ლომონოსოვმა. თავისი არსებობის პირველსავე დღიდან მოსკოვის უნივერსიტეტი გახდა მოწინავე მეცნიერული და საზოგადოებრივი აზრის ბუმბარიტი კერა. აქედან გაისმა პროგრესული რუსი მეცნიერების და საზოგადო მოღვაწეების — კაცობრიობის ბედნიერებისათვის მეზნებარე მებრძოლთა ხმა.

მაგრამ მხოლოდ სოციალისტურ რევოლუციას შეეძლო გადაეტანა მოსკოვის უნივერსიტეტი რუსული მეცნიერების უძლეველ ციხე-სიმაგრედ.

მთელი საბჭოთა ხალხის მშობლიური მზრუნველობით გარემოცული მოსკოვის უნივერსიტეტი გადაიქცა საბჭოთა კავშირის წამყვან სასწავლებლად. დიდი ლენინის ანდერძის მიმდევარი ახალგაზრდობა მის კედლებში დაბეჯითებით და მტკიცედ ეუფლება ცოდნას. ოცდათუმეტათასამდე საბჭოთა სპეციალისტი გამოუშვა მოსკოვის უნივერსიტეტმა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის განმავლობაში.

* * *

დიდ დახმარებას უწევენ მოსკოვის უნივერსიტეტის მასწავლებლები კომენსიზმის დიად მშენებლობებს. უნივერსიტეტის მუშაკები მეცნიერული გამოკვლევებისათვის 141-ჯერ იყვნენ დაჯილდოებულნი უმაღლესი ჯილდოთი — სტალინური პრემიით.

მოსკოვის უნივერსიტეტში შესრულებული მეცნიერული შრომების შინაარსი მოწმობს საბჭოთა სწავლულების მშვიდობიან მისწრაფებებზე. მათი მიზანი, მათი მხერეალე მოწადინებაა ხელი შეუწყონ კომუნისტური მშენებლობის დიდი გეგმების განხორციელებას.

* წერილი დაწერილია სპეციალურად ჩვენი ჟურნალისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების მშვიდობიანი პოლიტიკის გამოვლინების და მისი საბჭოთა მეცნიერების განვითარებისათვის შეუნარჩუნებელი ზრუნვის მაგალითია 1948 წლის 15 მარტს ამხანაგ სტალინის ინიციატივით მიღებული დადგენილება ლენინის სერგო მოსკოვის უნივერსიტეტის ახალი შენობის აგების შესახებ.

უკვე მთავრდება მეცნიერების ამ მშვენიერი სასახლის ამზენლობა. მოსკოვის უნივერსიტეტის ახალ შენობაში მოთავსდება ზუსტი მეცნიერების და ბიოლოგიურ მეცნიერებათა ექვსი ფაკულტეტი. მთავარი კორპუსის 239,5 მეტრის სიმაღლის მქონე ნაწილში მოთავსდება რექტორატი, მექანიკა-მათემათიკური, გეოლოგიური და გეოგრაფიული ფაკულტეტები, ფუნდამენტალური ბიბლიოთეკა მილიონ ორასი ათასი ტომით, მიწამომძვრელის მეზიუმი და საზოგადოებრივი ორგანნიზაციები.

ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიურ-ნიადაგმცოდნეობის ფაკულტეტებისათვის იგება ცალკე შენობები, რომლებიც მთავარ კორპუსთან ერთად შეადგენენ ერთ მთლიან არქიტექტურულ ანსამბლს განლაგებულს 320 ჰექტარ ფართობზე.

ეს ფართობი თხუთმეტჯერ აღემატება ამერიკის კოლუმბიის უდიდესი უნივერსიტეტის ფართობს. მოსკოვის უნივერსიტეტი-ქალაქის ტერიტორიაზე შენდება ახალი ასტრონომიული ობსერვატორია და რამდენიმე სპეციალური სამეცნიერო-კვლევითი საგებერი.

მშენებლობის მაშტაბი უზარმაზარია. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ უნივერსიტეტის მთლიანი მოცულობა შეადგენს 2 მილიონ 600 ათას კუბურ მეტრს. ამ მოცულობის ნახევარი მოდის მთავარ უმაღლეს შენობაზე, რომელსაც თავის ცენტრალურ ნაწილში 26 სამუშაო და 6 ტექნიკური სართული აქვს და 18 და 9 სართულიანი ფრთები აქვს გვერდებზე.

ფრთებზე მთავაესებულია ბინები პროფესორ-მასწავლებელთათვის, 6.000 ოთახი სტუდენტების და ასისტანტებისათვის. თითოეულ სტუდენტს და ასისტანტს ცალკე ოთახი ექნება. ამავე შენობაში იქნება სააქმო დარბაზები 1.500 აუდიტორიის, კლუბი, სასპორტო დარბაზები, საცურაო აუზები.

ლენინის სერგო აგებული უნივერსიტეტის მთელი ტერიტორიის მეთოხედი გამოყოფილია ბოტანიკური ბაღისათვის; ის უშუალოდ უერთდება ბიოლოგიურ-ნიადაგმცოდნეობის ფაკულტეტს და 15 მეტრის სიგანის ქარსაცავი ზოლით იქნება დაცული.

ბოტანიკურ ბაღში წარმოდგენილი იქნება ევროპის, აზიის, აფრიკის და ამერიკის ძირითადი რაინონების მცენარეები. ალპანარიეშში, რომელიც 600 კვ. მეტრის ფართობზე გაშენდება, უკვე დარგულია ევროპის და აზიის მთიანი რაინონების დამახასიათებელი მცენარეულობა. ბოტანიკურ ბაღში უკვე ჩაყრილია ბაჩრონული ხიღის და ევკალის თვალწარგავნი ბაღი.

ლენინის სერგო აგებული მეცნიერების სასახლე არა მხოლოდ საბჭოთა ხელოვნებისა და საადმშენებლო ტექნიკის მიღწევაა, არამედ ეს შენობა სრულყოფილია თავისი შინაგანი კეთილშობლობითაც. სამეცნიერო და საბინაო საგებიები შემკული იქნება მოხდენილი და ლამაზი მოწყობილობებით. ყოველი კუთხე ნათელი, ფართე და მყუდროა.

უნივერსიტეტის ყველა შენობას დამამშვენებს სკულპტურული და მხატგრული ნაწარმოებები. უკვე დამზადებულია და შეძენილია ქანდაკებები, პორტრეტები, სურათები უნივერსიტეტის საპარადო შენობისათვის. საკეთილოლო დარბაზებისათვის, კაბინეტების, წასტუმრრების და სასადილოებისათვის.

ახალ უნივერსიტეტს ექნება უმდიდრესი მოწყობილობა საბჭოთა ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. საბჭოთა კავშირის 500-ზე მეტ დაწესებულებაში მზადდება ეს მოწყობილობები.

აღსანიშნავი, რომ უმეტესობა ახალი მოწყობილობებისა უნივერსიტეტის სპეციალური შეკვეთით სრულდება პირველად. ამას გარდა ოვით უნივერსიტეტის ძალებით მზადდება მთელი რიგი მნიშვნელოვანი ხელსაწყოები.

ლენინის სერგზ აგებულ უნივერსიტეტში ისწავლის 9 ათასზე მეტი სტუდენტი და მოემზადება 900 ასისტანტი.

მოსკოვის უნივერსიტეტში იქმნება ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით სამეცნიერო-სასწავლო ბაზა. ყოველივე, რაც კი საჭიროა, ექნებათ მეცნიერ-მუშაკებს, ასისტანტებს და სტუდენტებს.

სამუალა არ მაქვს დაწერილითან გადმოცემეთ ყოველივე, მე მხოლოდ სანმიეშოდ რამდენიმეს აგიწერთ.

ასტრონომიულ ობსერვატორიაში დაიდგმება მძლავრშექანთნი მაქსუტოვის რეფრაქტორი, რომლის სამუალებით ასტრონომები შეისწავლიან ვარსკვლავების სპექტრს, აგებულებას და შეადგენენ ვარსკვლავების კატალოგებს. ობსერვატორიის სახურავზე დაიდგმება სპეციალური დანადგარები მზის სხივების დასაგროვებლად, რომელიც განსაკუთრებული მილით გადაეცემა სარდაფის შენობას, მზისა და მზის სპექტრის ლაბორატორიას.

ფიზიკოსები მიიღებენ მოწყობილობას, რითაც საშუალება ექნებათ გამოაკვლინონ სეკუნდის მილიონედ ნაწილში წარმოებული პროცესები. შესაძლებელი იქნება მოლეკულების აგებულების შესწავალა. მრავალსახოვანი და მრავალრიცხოვანი მოწყობილობები მზადდება სხვა ფაკულტეტებისთვისაც.

გეოლოგები და გეოგრაფები მიიღებენ ხელსაწყოებს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეში სამეცნიერო ექსკურსიების ჩასაკარებლად. უამრავი თვალსაჩინო ხელსაწყოებია დამზადებული და დადგმული ახალ უნივერსიტეტში.

საბჭოთა სახელმწიფომ, კომენსტერმა პარტიამ, პირადად ამხანაგმა სტალინმა მოსკოვის უნივერსიტეტის კოლეკტივს დაუსახა განუსაზღვრელი პერსპექტივები ყველა კათედრის და სპეციალობის განვითარებისათვის; მათ მისცეს უნივერსიტეტს ყოველივეკი, რაზედაც ოცნება შეეძლო საბჭოთა მეცნიერს.

სტალინური მზრუნველობით აღფრთოვანებული მოსკოვის უნივერსიტეტის კოლეკტივი ძალღონეს არ დაიშურებს, რათა სრულყოფილად ისარგებლოს უმდიდრესი ტექნიკით, რომელიც მის განკარგულებაშია, რომ ახალი აღმოჩენებითა და გამოკვლევებით გადაუხადოს ამაგი მთელ საბჭოთა ხალხს, რომელიც ასე ზრუნავს საბჭოთა მეცნიერების განვითარებისათვის, და ღირსეულად გაამართოს დიდი სტალინის ნდობა.



გიორგი ჯინჭარაძე

ნახატები ვ. ბელეცკაიასი

*

*

გიორგი ჯინჭარაძის მოთხრობა „მორცხვი მიმოზა“ პრემირებულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის მიერ საუკეთესო საბავშვო მხატვრულ ნაწარმოებზე გამოცხადებული კონკურსის ჟიურის მიერ 1951 წელს.

ეს ამბავი შავი ზღვის სანაპიროზე მოხდა, სუხუმში, რომელიც ძალიან ლამაზია და ისე ამშვენებს ზღვის სანაპიროს, რომ თვალი უკეთესს ვერას იხილავს.

იმ წელს არნახული, მაცარი ზამთარი დადგა. ყინვასა და სიცივეს შეუჩვეველ ხეებს დაბლა დაეხარათ ტოტები და შეშინებულნი ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ:

— ეს რა ზამთარი დაგვიდგა, ძმებო! აგერ თითქმის ას წელს მივაღწიე და ასეთ სიცივეს ჯერ არ მოვსწრებივარ. სხვა დროს თოვლი იშვიათად თუ მოვიდოდა, ისიც ღამით, დღისით კი ისევ ააშრობდა მზე. ახლა რა გვეშველება? დავიღუპეთ, ნამდვილად დავიღუპეთ!

მართლაც საშინელი ზამთარი იყო. დეკემბერშიც მოელ თვეს ძლიერი ყინვები დაიჭირა და უთუოდ ცუდად იქნებოდა მცენარეების საქმე, რომ დროზე არ მიშველებოდა გაზაფხული, მწვანედ არ შეემოსა აფხაზეთის მთაგორები.

ძლიერ თავისუფალად ამოისუნთქეს მცენარეებმა. ვინც კი ყინვას გადურჩა ლაღად ჩაება გაზაფხულის დაუცხრომელ ფერხულში და გახარებული თავის მეგობრებს გადარჩენას ულოცავდა.

მხოლოდ პატარა მიმოზა, რომელსაც მეტსახელად მორცხვ მიმოზას* უწოდებენ, არაფრად აგდებდა ყინვას. უფრო მეტიც: მას არც კი უგრძვნია, თუ რა საშინელება ხდებოდა გარეთ. არ იცოდა რა იყო ზამთარი, რადგან იგი სწორედ გასულ ზაფხულს მოიყვანეს ტროპიკული მხრიდან — ქოთანში ჩარგული და, როდესაც ზამთარი დაიწყო, ბოტანიკური ბაღის სათბურში ფანჯარასთან დასაკუთეს, რომ მზის სინათლე არ მოჰკლებოდა.

მცენარეთაგან მიმოზა პირველად აკაციამ შენიშნა, რომელსაც განივრად გაეშალა ტოტები და სწორედ იმ ფანჯრის წინ ამოსულიყო, რომლის რაფაზეც პატარა მიმოზა ჩამოსვეს. აკაციამ ალერსით დაუქნია თავი მიმოზას, ფანჯარაზე წყნარად მიუკაკუნა და სიყვარულით უთხრა:

— გამარჯობა, პატარავ! კეთილი იყოს შენი მობრძანება!

მიმოზასაც სურდა პასუხი გაეცა მოსიყვარულე მეზობლისათვის, მაგრამ მისი წყნარი ჩურჩული არ ესმოდა აკაციას, რადგან მათ შორის ფანჯარა აემართულიყო და ლაპარაკის საშუალებას არ აძლევდა.

ამ ამბავმა ძლიერ დაადონა აკაცია, მაგრამ რას იზამდა, დამორჩილდა ბედს, შორიდანღა

---

* მორცხვი მიმოზა ტროპიკული სარტყელის მცენარეთა ოჯახის წარმომადგენელია.

შესტრფოდა მშვენიერ მიმოზას და თვალს არ აშორებდა.

იმიტომ უფრო აღეძრა აკაციას მიმოზასადმი სიყვარული, რომ მასში მრავალს ხედავდა ნათესაურს: ფოთლებისა და ტანის მოყვანილობა თითქმის ერთნაირი ჰქონდა ორივეს, მხოლოდ მიმოზას ფოთლები გაცილებით წვრილი იყო, პატარები და ბწკლებზე შედარებით მჭიდროდ ასხმული. ტანითაც მიმოზა აკაციის ერთი პატარა შტოს ოდენა თუ იქნებოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც ბევრი რამ ჰქონდათ საერთო.

ერთ დილას, როგორც კი აკაციამ თვალები გაახილა, ჩვეულებისამებრ, ფანჯრისაკენ მიიხედა, მაგრამ მიმოზა ვეღარ დაინახა. დაღონდა აკაცია. მას შემდეგ კარგა ხანმა განვლო. მიმოზა არა ჩანდა. ვინ იცის—იქნებ ადგილსამყოფელი გამოუცვალეს. ასე იყო თუ ისე, იმ ზამთარს აკაციამ ვეღარ მოჰკრა თვალი მიმოზას.

დადგა ლამაზი გაზაფხული. სწორედ ის გაზაფხული, რომელზედაც ამ მოთხრობის დასაწყისში გვქონდა ლაპარაკი.

აკაციამ მწვანედ შეიმოსა ტანი, გალამაზდა და გამშვენიერდა. მიმოზა მაინც არსად ჩანდა. ეტყობოდა, იგი სამუდამოდ მოაშორეს ამ ფანჯარას.

ერთ დღეს აკაციას ჩვეულებრივზე გვიან გამოეღვიძა. მზე უკვე ამოსულიყო, ფოთლებს ნამი აეშროთ, ჰაერში ჩიტუნების საამო გალობა ისმოდა. აკაციამ თვალები მოიფშვნიტა, ნაცნობ ფანჯარაზე შეაჩერა მზერა და, უეცრად, სიხარულისაგან სუნთქვა შეეკრა; ღია ფანჯარაში მიმოზა დაინახა, რომელიც ღიმილით შესცქეროდა მოულოდნელი შეხვედრით განცვიფრებულ აკაციას და თავს უქნევდა.

— დაიკო,— როგორც იქნა ამოიდგა ენა აკაციამ,—გამარჯობა!

— გაგიმარჯოს,—ნაზი ჩურჩულით უპასუხა მიმოზამ,—ვერ მიცანი?! მე სწორედ ის მიმოზა ვარ, შარშან რომ მნახე.

— როგორ ვერ გიცანი!—უპასუხა აკაციამ.—სად იყავი ამდენ ხანს?

— სხვა ფანჯარასთან ვიჯექი!

— მე კი იმედი გადავიწყვიტე და ვიფიქრე, ვეღარ ვნახავ-მეთქი. მითხარ, რად წასხედი აქედან?—ჰკითხა აკაციამ.

— ადამიანებმა გადამიყვანეს, რადგან მზე სწორედ იმ მხრიდან ამოდის, სადაც ვიჯექი დღემდე; ამიტომ იქ უფრო თბილა. მე კი სიცივეს ვერ ვიტანან. მე ხომ აქ მოსვლამდე არც კი ვიცოდი თუ რა იყო სიცივე. ჩემს ნამშობლოში მუდამ ცხელა!

— როგორ?— გაოცდა აკაცია, — განა შენ სხვა ქვეყნიდან მოხვედი აქ? შენ ხომ ჩემი ნათესავი ხარ, ჩვენ ორიენენ ერთი ოჯახის წევრები ვართ, სხვაგან რა გინდოდა?

— რა ვიცი!— ეჭვით მიუგო მიმოზამ,— ადამიანებიც ასე ამბობენ, აქ ხშირად მესმის მათი საუბარი: «მიმოზა და აკაცია ერთ ოჯახს ეკუთვნიანო», მაგრამ მე მინდა სხვა ქვეყნიდან ვარ.

— არაფერია! — იმედიანად უპასუხა აკაციამ,—ჩვენს დამეგობრებას ეგ ვერ შეუშლის ხელს. მას შემდეგ, რაც ამ ფანჯარას მოვაშორეს, მოსვენება დაკარგე. რომ იცოდე, რარიგ გელოდი, მოთმინება აღარ მყოფნიდა ვიდრე განახავდი.და აი, მოხვედი. მოდი ჩემთან ახლოს, ჩემო პატარა დაიკო, მინდა გადაგეხვიო! —მიუალერსა აკაციამ და ტოტები მიმოზასკენ გაიშვირა.

მაგრამ ვერ წარმოიდგენთ, როგორ განცვიფრდა აკაცია, როდესაც მიმოზამ მიკარებისთანავე მოკეცა ფოთლები და ტოტები ჩამოუშვა.

— რად დახუქე თვალები? — გაკვირვებით იკითხა აკაციამ,—განა გეწყინა ჩემი მოკარება? თითქოს მეკრძალები...

მიმოზა კი ამ დროს უკვე ნელნელა ზლიდა ფოთლებს.

— ეს... ეს მე... დიდი ხანია ჩვეულებად მაქვს,—დაბნეულით მიუგო მიმოზამ, — შენ ნუ შეგაკრთობს იგი. ეს ერთი არასასიამოვნო შემთხვევის შედეგია. მე გთხოვ ნუ გამახსენებ მას. უმჯობესია მიამბო, როგორ ცხოვრობ აქ?

აკაცია მიხვდა, რომ მიმოზა რაღაცას მალავდა, მას ეწყინა ეს და უგულოდ მიუგო:

— ჩვენ ძალიან კარგად ვცხოვრობთ! მაგრამ მე ხომ ეგ არ მაინტერესებს? გთხოვ გამაგებინო რად დახუქე თვალები, საიდან გაქვს ეგ ჩვეულება, როდესაც ჩვენს გვარში სხვას არავინა აქვს იგი? მიამბე, დაიკო, ეს ხომ ჩემი პირველი თხოვნაა და გეხვეწები, ნუ მეტყვი უარს!

აკაცია ისე გულმხურვალედ ეხვეწებოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმოზას, რომ მან უარის თქმა ვეღარ მოახერხა.

— აჰ, კარგი იყო არ შეეხებოდით ამ ამბავს, მაგრამ რა გაეწყობა, უარის თქმა არ შემიძლია. რომ იცოდე, როგორ მიმძიმს ამაზე საუბარი. ადამიანები ამ ჩვეულებისათვის «მორცხვ მიმოზას» მიწოდებენ და ის კი არ იცინან, რომ ეს სრულიადაც არ მომდის მორცხვობით. — თქვა მიმოზამ და მოწყენით ჩაჰკიდა თავი.

აკაციას შეებრალა მიმოზა და გადაწყვიტა თხოვნით აღარ შეეწუხებინა.

— კარგი, თუ კი ეს შენ გულს გატკენს, ნუ მომიყვები! მე არ ჩაგაცივდები! ვხედავ, ცუდად გახდი. ეს უკვე მეორედ შეწუხდი ჩემი მიზეზით, მაპატიე!

მიმოზას სახეზე ცუდი ფერი დაედო. ჩანდა, მძიმე წარსულის მოგონებამ ცუდად იმოქმედა მასზე. მაგრამ ისევ მალე მოვიდა გონს, ასწია თავი და აღერსით შეხედა აკაციას.

— არაფერია! — თქვა მან, — მე მუდამ ასე ცუდად ვხდები, როდესაც ის საშინელი დღე გამახსენდება. მაგრამ არა უშავს. ვეცდები გული გავიმაგრო და სურვილი შეგისრულო. ვხედავ, ძალიან დაინტერესდი ჩემი ამბით.

აკაციამ ზრდილობისათვის კიდევ თქვა უარი: არა, თუ შენ ცუდად შეიქნები არ მსურსო, მაგრამ მიმოზამ აღარ უგდო ყური და, როდესაც გული საკმაოდ დაიმშვიდა, ასე დაიწყო:

— ეს ამბავი დიდი ხნის წინათ მოხდა. მე აქ ძალიან შორიდან მომიყვანეს. ჩემს სამშობლოს ამერიკა ჰქვია. მე თავისუფლად ვიზრდებოდი ერთ ტრიალ მინდორში. ჩემს გვერდით შავკანიანი ადამიანები ცხოვრობდნენ, ადგილობრივი მკვიდრნი, რომელთაც ძალიან გუუვარდი. მე მაშინაც ჭქონდა ეს ჩვეულება, მაგრამ იმ ხანებში მხოლოდ მზის ჩასვლისას ვხუჭავდი თვალებს და დილით კი ისევ გახელდი.

— და, აი, ერთ დღეს ჩემი მყუდრო ცხოვრება სამუდამოდ დაირღვა.

— ერთხელ, ჩვენს მინდორზე უცნო თეთრი ადამიანები მოვიდნენ. ისინი მთელ დღეს ზომავდნენ მინდორს, საღამოს კი ისევ წავიდნენ. მეორე დღეს დაბრუნდნენ, მაგრამ მარტონი აღარ იყვნენ; წინ მათრახის ცემით

საბრალო სახეზე იფარებდა ხელებს, მაგრამ თავს ვერას შველოდა.

მოერეკებოდნენ შავკანიან ადამიანებს. მაგრამ, ჰოი დამბადებელო, რა სახე ჰქონდათ! მათ სახეზე იხატებოდა უზომო ტანჯვა. მათ წინა დღით არჩეული მიწის თხრა დაიწყეს. საშინელი, სულისშემხუთველი სიცხე იდგა. ასეთ სიცხეში შეუსვენებლივ მუშაობა წამება იყო, მაგრამ უბედურთ მარტო ამას არ აკმარებდნენ; სულ მცირე დანაშაულისათვისაც კი სცემდნენ უწყალოდ, დაუნდობლად, სცემდნენ და, საბრალოებს, იქვე ამოსდიოდათ სული.

— მე ვხედავდი ყოველივე ამას და სიბრალულით გული მეწვოდა, მაგრამ რას გაგხდებოდი, რა შემეძლო?! ჩემს სიცოცხლეში პირველად ვიხილე ასეთი საზარელი სურათი!

— ასე ამუშავეს სამ დღესა და ღამეს.

— ერთხელ, ერთი შავკანიანი, რომელსაც, როგორც შემდეგ შევიტყე, თურმე ზანგს უწოდებენ, შესასვენებლად ჩემს ახლოს ჩამოჯდა. მან აღერსით გადამისვა ხელი და მომეფერა. მე მიგხვდი, რომ მას კეთილი გული ჰქონდა.

— უეცრად თავს წამოგვადგა თეთრკანიანი და მეხივით დაიჭექა: რა დროს დასვენებაა! ჰკრა წიხლი ზანგს, იქვე, ჩემს ახლოს გაავორა და დასცხო მათრახი. საბრალო სახეზე იფარებდა ხელებს, მაგრამ თავს ვერას შველოდა, ის კი სცემდა უწყალოდ, სცემდა მათ-

რახს შიგ პირი-სახეში, სცემდა სანამ დაოსებული მთლად არ მოეშვა, არ დავარდა უძრავად და, უნეზურად, მეც ნახეგრად ქვეშ მომიყოლა. მე ვტიროდი, ვკვნესოდი, მაგრამ ვის ესმოდა ჩემი ხმა! მათრახს კი კვლავ გაქონდა ჩემს თავზე ზხეილი. უკანასკნელად, საბრალოს, დაუსცდა კანი, სისხლმა შადრევანივით გადმოხეთქა და ზედ გადმომეხთხა. მე ვეღარ შევძელი იმ საშინელი წამების ცქერა და, აი, იმ წუთს შემრცხვა იმ ბოროტი ადამიანის მაგიერ და დავხუმე თვალი. დავხუმე მისთვის, რომ აღარ მეხილა ის საშინელი სურათი, რომელსაც ის გამხეცებული კაცი ასეთი სიამოვნებით უცქეროდა. დავხუმე დღისით, მზის სინათლეზე, რაც ჩვენ, მიმოზებს, აკრძალული გვქონდა ბუნებისგან...

აქ მიმოზამ ვეღარ შესძლო ამბის გაგრძელება. წარსულის მოგონებამ ცუდად იმოქმედა მასზე.

აკაციამ საჩქაროდ შეაგროვა ფოთლებში შერჩენილი ნამი და ზედა აპკურა.

როდესაც მიმოზა საკმაოდ მოღონიერდა, განაგრძო:

— მას შემდეგ ვეღარ მოვიშალე ეს ჩვეულება: როგორც კი ვინმე ხელს შემახებს, ან შემიბერავს, ან წვიმის წვეთი დამეცემა — მაშინვე ვხუმავ თვალებს... ადამიანები მოდიან ჩემთან, ხელს მაკარებენ და ალერსით ჩამძახიან: «მიმოზა, დახუმე თვალები!» და მეც ვხუმავ, მაგრამ არავინ იცის თუ რა მიზეზით.

ასე დაამთავრა მიმოზამ თავისი ამბავი. შეწუხდა აკაცია, იგრძნო, ცუდი რამ გადახდენოდა მიმოზას, ძნელად გადასატანი, და შეებრალა:

— მეცოდები, ჩემო დაიკო! —უთხრა აკაციამ.—საშინელი რამ მოვისმინე, ჯერ არნახული, მაგრამ ნუღარ გეშინია. შენ აშკამად კეთილ ადამიანთა შორის იმყოფები და მათგან ცუდი რამ არასოდეს შეგემთხვევა: ისინი არაფრით ჰგვანან იმ ბოროტ ადამიანებს, ვინ-ზედაც შენ ამ წუთს მიამბე. მალე, თბილი ზაფხული დადგება. დაიწყება შენთვის საყვარელი სიცხეები, ჩვენთან პატარა ბავშვები მოვლენ და მზრუნველობით მოგივლიან.

— ჩემთანაც მრავალჯერ მოსულან ისინი, გულზე წითელი ყელსახვევები ჰკიდიათ, მხიარული სასით დახტიან ჩვენს ირგვლივ და წკრიალა ხმით საამო სიმღერებს მღერიან. მათგან კარგის მეტს ნურაფერს ელი. ძველი ამბავი კი, მათ ხელში, დამიჯერე, სულ მალე დავიწყებას მიეცემა.

* * *

მას შემდეგ რამდენიმე წელმა განვლო. მიმოზა არა თუ .შეეჩვია ჩვენს ბავშვებს, არამედ ჩვენი ქვეყნის ჰაკიც სწრაფად აითვისა და ახლა თავს უაღრესად ბედნიერად სთვლის. მას აღარც კი აგონდება მისი ყოფილი სამშობლო—ამერიკა. ახლა აქ იპოვა თავისუფალი და ბედნიერი სამშობლო, სადაც არავის სცემენ მათრახით. მიმოზას მისი ჩვეულება, თვალების მინაბვა, არა თუ აწუხებს, როგორც ეს წინათ იყო, არამედ ახალისებს კიდეც. იგი სიხარულით აჰყვება ხოლმე ბავშვების ჭრიამულს.

მიმოზა მალე მიატოვებს ბოტანიკური ბაღის ზღუდეს და სუხუმის ქუჩებსა და ბაღებში გადასახლდება. ბავშვები ხშირად მიდიან მასთან და სიყვარულით ჩასძახიან: «მიმოზა, დახუმე თვალები!».ისიც ხალისით ასრულებს მათ თხოვნას.

ბავშვებო, თქვენც მოგრძანდით ჩვენთან, სუხუმში და აუცილებლად ნახეთ პატარა მიმოზა, რომელიც თქვენი ხელის მიკარებისთანავე მორცხვად დახტრის წამწამებს და თვალებს მინაბავს.

მოკლედ ყველაფერზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზუსტი დრო

ყოველდღე რადიოსადგურები გადმოსცემენ ასტრონომიულ ობსერვატორიებში დადგენილი ზუსტი საათების სიგნალებს.

დროის ერთეული, რომლითაც ამოწმებენ დროის საზომი ყოველგვარი მოწყობილობის მუშაობას, თვით ბუნებამ მოგვცა. ეს ერთეული არის დედამიწის თავისი ღერძის გარშემო მოძრაობის 1/24 ნაწილი — დღე-ღამე. მაგრამ დედამიწის სადღეღამისო მოძრაობას ჩვენ ვერ ვამჩნევთ, და 1ის რომ შევიტანოთ, საჭიროა დავაკვირდეთ არეკლილ მოძრაობას — მზისა და ვარსკვლავების ხილულ მოძრაობას. ასტრონომიულ ობსერვატორიაში ამ მიზანს ემსახურება განსაკუთრებული სახის ტელესკოპი, რომელიც ისეა დადგმული, რომ მისი საზღვრავი მილი ყოველთვის მერიდიანს უყურებს. ყოველი ვარსკვლავი მერიდიანზე ყოველთვის ზუსტად განსაზღვრულ მომენტში გაივლის. ეს მომენტები ვარსკვლავთა დიდი უმრავლესობისათვის ზუსტად არის გამოანგარიშებული, და ეი სწორედ ამის მიხედვით ობსერვატორიაში ამოწმებენ მოავარ ასტრონომიულ საათს.

ეს განსაკუთრებული ზუსტი საათი მოთავსებულია ღრმა სარდაფში, დამაგრებულია სპეციალურად გაკეთებულ მასიურ ბოძებზე და გერმეტიულად დახურულ მინის ჭურჭელშია ჩადგმული. ყოველივე ეს საჭიროა იმისათვის, რომ საათზე არ იმოქმედოს ტემპერატურის მერყეობამ, ატმოსფერული წნევის ცვალებადობამ, ნიადაგის შერხევამ და ა. შ. ამ მთავარ საათს მომართვითაც არ აწუხებენ — მომართვა ელექტრონის საშუალებით ხდება.

მთავარ ასტრონომიულ საათთან შეთანხმებულია „ობსერვატორიის შენობის ზედა სართულში დადგმული სხვა საათების ჩვენება. აი ეს საათები იძლევიან სიგნალებს რადიოსადგურების საშუალებით, რითაც მოწმდება ზუსტი დრო.



სირიის სოფელი

ამ ფოტოზე, რომელიც გამოქვეყნებული იყო ერთ-ერთ ინგლისურ ჟურნალში, მოცემულია სირიის სოფლის დამახასიათებელი პეიზაჟი. ასეთ თიხის ქოხებსებში ცხოვრობენ ნახევრად მათხოვრულ მდგომარეობაში მყოფი არაბები, რომელთა უმრავლესობა მოჯამაგირეობას წევს. ქოხში რომ შეიღები, ადამიანი სამად უნდა მოიხაროს წელში და ისე შეფორთხდეს ხერელში. ეს ხერელი ქოხის კარებიცაა, ფანჯარაც და საკვამლე მილიც. იატაკი ქოხში მიწისაა.

სირია აპატარა სახელმწიფოა, რომელიც ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე მდებარეობს. აქ საკმაოდაა დასაშუშავებლად ვარგისი მიწა, მოეხედვადად ამისა, რომ მისი ტერიტორიის დიდი ნაწილი უდაბნოს სილას უკავია; მაგრამ რაც არის, ისიც არაა მთლიანად გამოყენებული. სოფლის მეურნეობის ტექნიკური დონე მეტად დაბალია. სირიელ ელეს ხელოვნური მორწყვის არავითარი საშუალება არ გააჩნია, ამიტომ იგი უქმდრია ებრძოლოს ,,ბუვლვას, რომელიც აქ ხშირი სტუმარია.

ჭექა-ქუხილის მოვლენები



მეხს დიდი ზიანი მოაქვს — ჰკლავს ადამიანს, პირუტყვს; აწვნს ხანძარს, იწვევს ნგრევას. ყოველივე ამან ჯერ კიდევ ძველად ჩააფიქრა ადამიანი და იგი შეუფლა მეხისაგან თავდაცვის საშუალებათა გამოძებნას.

დამეფვა, როგორც საბჭოთა მეცნიერებმა გამოიკვლიეს, მეიდრო კავშირშია ნიადაგის ელექტრომგამტარობასთან, დადასტურებულია ის ფაქტი, რომ მეხი ხშირად ამაღლებულ ადგილს კი არ ეცემა, პირიქით, „შერაჩევს“ ხილმე ისეთ ობიექტს, რომელიც სიმაღლით მაინცდამაინც არ გამოირჩევა, სა-

მაგიერად ელექტროგამტარობა დიდი აქვს.

მეხისგან თავდაცვას ერთი მიზანსდასახულება უნდა ჰქონდეს: ხელი შეეწყოს მეხს იმოვის მიწაში ყველაზე მოკლე გზა. ჯერ კიდევ დიდი რუსი მეცნიერი ლომონოსოვი ასწავლიდა, რომ მეხისაგან შენობების დასაცავად დადგმული უნდა ყოფილიყო მეხამრიდი მიწაში მიმავალი, მაღალი, წამწვეტებული რკინის ჯოკების სახით.

თვითონ ადამიანმა კი მეხისაგან თავდასაცავად შემდეგ ზომებს უნდა მიმართოს: ქუქა-ქუხილის დროს თავი არ უნდა შეეფაროთ ხეს — მეხი ხშირად ეცემა ხეებს, განსაკუთრებით მაღალსა და განმარტოებით მდგომთ; ქუქა-ქუხილის დროს არ უნდა გავჩერდეთ მდინარიხა და გუბის ნაპირზე. არ შეიძლება ამ დროს არც ბანაობა, არც ნავით სიარული — მეხი ხშირად ეცემა წყალსა და წყლის ნაპირის შემაღლებულ ადგილს. ნავში მჯდარი ან ნაპირზე მდგომი ადამიანი წარმოადგენს ახეთ შემაღლებულ ადგილს; გაშლილ მინდორში ძლიერი ქუქა-ქუხილის დროს ადამიანს დიდი საფრთხე მოელის. თუ ადამიანს ქუქა-ქუხილი ახეთ ადგილზე მოუსწრებსი, იგი უნდა დაჯდეს მიწაზე, და არავითარ შემთხვევაში თავი არ უნდა შეეფაროს, მაგალითად, თივის ზვინს და სხვა ამგვაგარს. სოფლად ამ დროს უნდა შეეწყვიტოთ ტელეფონით ლაპარაკი, უნდა დაგამწყოთ რადიოანტენები, რომ მეხი შენობაში არ შემოეჭრას.

ქუქა-ქუხილის წინასწარმეტყველებაც მასთან ბრძოლის ერთ-ერთი მეთოდია. ჩვენს ქვეყანაში გაფფატული ათასობით მეტეოროლოგიური სადგურები რამდენჯერმე დღლიმეში ვადასცემენ თავიანთ ადგილობრივ ცენტრებს ამინდის ცნობას; აქედან კი რადიოთი გადაიცემა ცნობები პრაგნოზის ცენტრალურ ინსტიტუტში.



შინაარსი

	გვ.
მ. ლებანიძე—მოგზაურები (ლექსი) . . . . . გარეკ.	2
ი. გოცირიძე—დიადი გამარჯვება (წერილი)	2
ა. შენგელია—სიმღერა თბილისის ზღვასთან (ლექსი) . .	4
ლ. მეგრელიძე—ხარატის შვილი—(მოთხრობა)	5
ჩვენი ახალგაზრდა პიოტები (ლექსები)	8
ი. ჩიხლაძე—ქართული ფოლადი (წერილი)	9
რ. ინანიშვილი—ჰასანის სათხოვარი (მოთხრობა)	13
სილამხასა და ძლიერების დღესასწაული (წერილი) . . .	16
ო. ოსელიანი—ბანაკი მთის კალთებზე (წერილი)	18
ნორმ ალტრთა შემოქმედება (ლექსები, ქანდაკება)	20
ალბერტ მალცი—ჯუნგლი ნაშუადღეს (მოთხრობა თარგმნა ინგალისერიდან ც. გამბარელიძემ)	21
გ. დ. ვოვჩენკო—მოწრნავე საბჭოთა მეცნიერების სასახლე (წერილი)	25
ვ. ჯინჭარაძე—ბორცვი მიმიხა (მოთხრობა)	27
მოკლედ ყველაფერზე: ა) ხუსტი დრო, ბ) სირიის სოფელი, გ) ქუქა-ქუხილის მოელენები.	
გარეკანის პირველ გვერდზე—„პერის ალება"—ნახატი შესრულებული მხატვარ გ. ჩარიანაშვილის მიერ.	
გარეკანის მე-4 გვერდზე „სასაფხულო დასვენება" — ფოტო რ. აკოფოვისა.	
ყურნალი გაფორმებულია მხატვრებისა: გ. ფოცხიშვილის, ბ. გორგაძის, ა. ეძენტეის, შ. ცასადის, ვ. გიგოლაშვილის და ვ. ბელეკაიას მიერ.	

რედაქტორი რ. მარგიანი. მდივანი. მ. ლებანიძე სარედაქციო კოლეგია: ე. ბგალაძე, დ. გვრიტაშვილი. ვ. ვარდიაშვილი, გ. თავზიშვილი, მარიჯანი, გ. მარიანაშვილი, ო. ნემსაძე, ზ. შენგელია. სამხატვრო რედ. გ. ფოცხიშვილი.

„ПИОНЕРИ" Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии Июль № 7 1952

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის 14. 1 სართული. ტელ. 3—81—85 სახლიტგამი

უე 04376 ტირაჟი 15.000 გამოიც. შეკვ. № 342 სტამბის შეკვ. № 886 ფასი 3 ბეჭრის სახ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი", ლენინის 14, გარეკანი დაბეჭდილია „ფერადი ბეჭდვის სტამბაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა
სუბიექტური ბიბლიოთეკა

ოსტატობის კანდიდატის თ. გიორგაძის რედაქციით

კვადრატის წესი

პაიკი. რომელიც ჭადრაკში ყველაზე სუსტ ფიგურათაა აღიარებული, ენდშპილში (თამაშის ბოლოს) დიდი ყურადღების საგანი ხდება. იმიტომ, რომ მარტოხელად დარჩენილ პაიკს შეუძლია ლაზიერად გასვლა.



არსებობს წესი, რომლის დახმარებით შეიძლება სწრაფად განისაზღვროს დაეწევა თუ არა მოწინააღმდეგის მეფე გამხელილ პაიკს.

ამისათვის საჭიროა დაფაზე წარმოვიდგინოთ კვადრატი, რომლის ერთ-ერთი კვერდი იქნება პაიკის დგომისა და მის გასასვლელ უჯრედს შორის მანძილი, როგორც დიაგრამაზეა ნაჩვენები.

იმ შემთხვევაში, როცა სვლა შავი მეფისაა და მას ერთი სვლით შეუძლია შეიჭიდეს კვადრატში (ან თუ იგი უკვე კვადრატშია) ყოველთვის დაეწევა პაიკს, ხოლო თუ თეთრები იწყებენ თამაშს პაიკი აუცილებლად მოასწრებს ლაზიერად გასვლას.

კვადრატის წესის გამოყენების დროს თუ თეთრი ან შავი პაიკი დგას დაწყებით მდგომარეობაში არ უნდა დავიწყოთ, რომ ამ პაიკებს აქვთ წესის თანახმად ორ უჯრედზე გადასვლის უფლება. ამ გამონაკლისის გარდა მოწინააღმდეგის მეფეს ყოველთვის შეუძლია დაეწიოს პაიკს თუ სვლა მისია და შედის კვადრატში.

კვადრატის წესს დიდი პრაქტიკული ღირებულება აქვს. იგი ეხმარება მოჭადრაკეს პაიკების ენდშპილში ვარიანტების გათვლის სისწრაფეში.

ჟურნალ „პიონერის“ № 6 მოთავსებულ გასაართობების პასუხები

თავსატეხი № 1

11	7	17	25
23	19	15	3
24	18	8	10
2	16	20	22

თავსატეხი № 2

4	29	46	16	9	39	3
2	32	21	22	26	10	24
53	8	23	1	11	27	13
25	19	48		30	31	62
33	34	38	19	5	37	17
20	6	55	14	40	43	15
42	12	18	28	7	47	36

აკაკის ლექსების მიხედვით.

1. გორი, 2. რჩევა, 3. არწივი, 4. ხანგალს, 5. კურდღელი, 6. ჯარისკაცი, 7. მესტვირეული, 8. პატარა მეურაა, 9. გამოფიზლება, 10. ქართლის ხალამი, 11. საიდუმლო ბარათი, 12. მწყემსის სიმღერა, 13. რუსთაველის სურათზე, 14. გაზაფხულის სიმღერა, 15. ენების გასამარილება, 16. ვარსკვლავთმრიცხველი, 17. განათლების საგალობელი, 18. გლეხისა და თავადის ბაიხი, 19. ეგნატე ნინოშვილისადმი, 20. ხაწყალი და დარბაისელი, 21. მოხუცი და ახალგაზრდა, 22. ხარაბაუზა და ფუტკარი, 23. ავადმყოფი მგოსანი, 24. მოხუცის მოგონება, 25. პატარა მეგობარს, 26. იმერული ნანა, 27. გამოსარჩლება, 28. დათვი და მელა, 29. ყმაწვილები, 30. გაზაფხული, 31. ხალამური, 32. ჩანგური, 33. ხელოკო, 34. არაკი, 35. ზარი.

ᲔᲑᲚᲘ 2 ᲐᲑᲚ.